

სმენის სირთულის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა

გზამკვლევი მშობლებისთვის



გზამკვლევაზე მუშაობდნენ:

ავტორი:

მარიკა არევაძე კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი,
ნეიროფსიქოლოგი

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათ-
ლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულ-
ტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების
სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჯავაძე

დამკაბადონებელი

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების
ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური
მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1 . სმენის დარღვევა და მისი ზოგადი დახასიათება

1.1 რას გულისხმობს «სმენის დარღვევა»	10
1.2 სმენის დარღვევის გამოწვევი მიზეზები	11
1.3 რა ვიციტ სმენის დაქვეითების ხარისხების შესახებ	14
1.4 სმენის დაქვეითების ტიპები	17
1.5 სმენის დარღვევის შედეგად გამოწვეული მეორადი სირთულეები	18

თავი 2 . სმენის სირთულის დიაგნოსტიკა და მართვა

2.1 როგორ ამოვიცნოთ რომ ბავშვს აქვს სმენის პრობლემა	27
2.2 სმენის დაქვეითების აღმოჩენასთან დაკავშირებული სირთულეები	29
2.3 ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და სმენის გამოკვლევის რა მეთოდები არსებობს	30
2.4 სმენის პრობლემა : სასმენი აპარატები და კოხლერული იმპლანტაცია	32

თავი 3. როგორ ეხმარებიან სპეციალისტები სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ?

✓ სპეციალისტები და მათი ფუნქციები სმენის დაქვეითების მქონე ბავშვთან მუშაობის პროცესში	37
✓ ფსიქოლოგი	
✓ ოკუპაციური თერაპევტი	
✓ ნევროლოგი	
✓ აუდიოლოგი	
✓ ენის, კომუნიკაციისა და მეტყველების თერაპევტი სურდოლოგი	
3.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და მშობლის როლი ამ პროცესში	39

თავი 4. სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის განათლება

4.1. ოჯახის ფსიქოგანათლებისა და ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის განვითარების პროცესში	41
4.2. მულტიმოდალური სწავლების მნიშვნელობა სმენის დაქვეითების მქონე ბავშვისთვის	42
4.3. ქცევით-კომუნიკაციური უნარების განვითარება	44
4.4. წიგნიერების უნარებისა და აკადემიური უნარების განმავითარებელი რეკომენდაციები	49

თავი 5 ენისა და მეტყველების განვითარების ხელშეწყობა

5.1 სმენითი აღქმის განვითარება	63
5.2 რეცეპტული ენის განმავითარებელი რეკომენდაციები	70
5.3 ექსპრესიული ენის განვითარების სტიმულირება	73

თავი 6 შესტური ენა

6.1 შესტური ენის ზოგადი დახასიათება	79
6.2 შესტური ენის ათვისების ნიშნელობა სმენის დაქვეითების დროს	80
6.3 სიმბოლური შესტები, რას გამოადგებათ მშობლებს ბავშვთან ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში	82

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია სმენის დარღვევის მქონე მოსწავლისა და მისი ოჯახის მხარდაჭერა. ბავშვისთვის სმენის დაქვეითების დიაგნოსტიკის შემდეგ, ოჯახი ხშირად დაბნეულია და არ იცის რა მოიმოქმედოს, რით დაეხმაროს ბავშვს. მშობლებს უამრავი კითხვა უჩნდებათ და არ იციან სად მიიღონ ამ კითხვებზე პასუხი მაშინ, როცა სმენის დარღვევის მქონე ბავშვის რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროცესში ოჯახის ჩართულობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მოცემული გზამკვლევი არის მცდელობა გასცეს პასუხები ამ კითხვებს და მაქსიმალურად დააკვალიანოს მშობელი მისი და მისი შვილის საკეთილდღეოდ. სახელმძღვანელო შედგება 6 ურთიერთდაკავშირებული თავისგან.

გზამკვლევის პირველი თავი ეთმობა სმენის დარღვევის ზოგად დახასიათებას. მეორე თავში მოცემულია ინფორმაცია სმენის დარღვევის დიაგნოსტიკისა და მართვის მეთოდების შესახებ. მესამე თავი მშობელს გააცნობს სპეციალისტებს, რომლებიც დაეხმარებიან მის შვილს. მეოთხე თავში მოცემულია სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლების გზები. ხოლო მე-5 და მე-6 თავებში აღწერილია ვერბალური (სალაპარაკო) და ჟესტური ენის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

სმენის დარღვევის განმარტებამდე, სასურველია, თუ გზამკვლევით მკითხველი მეტ ინფორმაციას მიიღებს სმენის ფუნქციისა და ბგერის შესახებ.

სმენა ეს არის ბგერის აღქმის უნარი. ბგერა წარმოიქმნება კონკრეტული სიხშირით საგნების რხევის გზით. მაგალითად, ბევრი მუსიკალური ინსტრუმენტის ხმა ეს არის დაჭიმული სიმების - (ვიოლინო, გიტარა, პიანინო) ან დაჭიმული ტყავის რხევის შედეგი (დოლი). ბგერები განსხვავდებიან სიმაღლისა (ინტენსივობა) და ტონალობის (რხევების სიხშირე) მიხედვით. ბგერის ინტენსივობა იზომება დეციბელებით, ხოლო ბგერის სიხშირე - ჰერცებით.

ჩვენ ირგვლივ არსებულ ხმაურს განსხვავებული ინტენსივობა აქვს და ადამიანებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან სმენის ზღურბლებით. ერთიდაიგივე ინტენსივობის ხმაური შესაძლოა შემაწუხებელი იყოს ერთისთვის, მეორესთვის კი არა. სმენის დაბალი ზღურბლი დაკავშირებულია სმენითი სტიმულაციის მიმართ ჰიპერმგრძნობელობასთან. ამ დროს ბავშვი შესაძლოა ყურებზე ხელს იფარებდეს ხმაურის დროს, კრთებოდეს ან იმალებოდეს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ხმის გაგონებისას. სმენის მაღალი ზღურბლი კი დაკავშირებულია სმენითი სტიმულების ჭარბად მიღების მოთხოვნილებასთან. ამ დროს ბავშვი გამიზნულად იწვევს ხმებს და სიამოვნებით უსმენს.

თავი 1.

სმენის დარღვევა და მისი ზოგადი დახასიათება

ბგერა, ყურის საშუალებით, მიეწოდება თავის ტვინს, სადაც ხდება მიღებული სმენითი ინფორმაციის გადამუშავება და გაერთიანება. ადამიანს სწორედ თავის ტვინის დამსახურებით ესმის და არა- ყურით. ყური ეს არის სმენითი სტიმულების მიმღები და გამტარებელი ორგანო, თავის ტვინი კი მიღებული სტიმულების ამოცნობა-იდენტიფიკაციაზეა პასუხისმგებელი. შესაბამისად, თავის ტვინის გარეშე ადამიანი ვერ მიხვდება რა გაიგონა და ვერ ექნება ფუნქციური სმენა.

1.1. რას გულისხმობს „სმენის დარღვევა“ ?

სმენის დარღვევა ეს არის ბგერების აღმოჩენისა და გაგების უნარის დაქვეითება, ან სრული უუნარობა. განასხვავებენ სმენის დარღვევის შემდეგ ხარისხებს :

- ☒ **სმენის დაზიანება :** ზოგადი ტერმინი, აერთიანებს სმენის დაქვეითების ყველა ხარისხს
- ☒ **სმენის დაქვეითება:** აქერთიანდება სმენის დარღვევის ყველა ხარისხის მქონე ადამიანი, რომელსაც სასმენი აპარატის დახმარებით ლაპარაკის გაგება შეუძლია
- ☒ **ყრუ:** სმენის ისეთი დარღვევა, როდესაც ლაპარაკის გაგება სასმენი აპარატიდან კი შეუძლებელია.

1.2. სმენის დარღვევის გამოთქვაში მიზეზები

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანებს მცდარი წარმოდგენები აქვთ თუ იმდგომარეობის წარმომავლობაზე. ინფორმაცია სმენის დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ დაეხმარება მკითხველს თავი დაიცვას მავნე ფაქტორებისგან, ან დროულად მიმართოს სპეციალისტს იმ შემთხვევაში თუ იმყოფება სმენის დაქვეითების ჩამოყალიბების რისკ ჯგუფში. მაგალითად, ბევრმა შესაძლოა არ იცოდეს რომ მედიკამენტების არასწორმა და გაუფრთხილებელმა მოხმარებამ, მაგალითად ოტო-ტოქსიკური პრეპარატების ჯგუფიდან, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს შიგნითა ყურზე და გამოიწვიოს სმენის დაქვეითება (ASHA, 2018)

არსებობს სმენის დარღვევის **თანდაყოლილი** და **შემენილი** მიზეზები.

თანდაყოლილი მიზეზები შესაძლოა იყოს: გენეტიკური და არაგენეტიკური.

გენეტიკურ ფაქტორზე მოდის თანდაყოლილი სმენის დარღვევის შემთხვევათა 50%. სმენის დარღვევა გენეტიკურია თუ ბავშვი მას იღებს მემკვიდრეობით უახლოესი წინაპრებისგან. არსებობს გენეტიკური სინდრომები, რომლებიც ხასიათდებიან სმენის დარღვევით. სმენის დარღვევის გამომწვევ არაგენეტიკურ მიზეზებს

შორის კი გამოყოფენ: ციტომეგალოვირუსს, ნაადრევ დაბადებას, დედის დიაბეტს, ჟანგბადის ნაკლებობას, მუცლადყოფნისას ტოქსემიას.

დაბადების შემდგომ განვითარებულ სმენის დარღვევას შეძენილი სმენის დარღვევა ჰქვია. ჩვეულებრივ, იგი დაკავშირებულია გადატანილ დაავადებებთან ან თავის ტვინის დაზიანებასთან. ქვემოთ მოცემულია მიზეზები, რომლებიც იწვევენ შეძენილ სმენის დარღვევას ბავშვებში :

- ☒ ყურის ინფექციები (შუა ყურის ანთება)
- ☒ ოტოტოქსიკური (სმენითისისტემის დამაზიანებელი) მედიკამენტები
- ☒ მენინგიტი
- ☒ წითელას ვირუსი
- ☒ ენცეფალიტი
- ☒ ჩუტყვავილა
- ☒ გრიპი
- ☒ ყბაყურა
- ☒ თავის ტრამვული დაზიანება
- ☒ ჰიპერინტენსიური ხმაურის ზემოქმედება

ამერიკის სმენის მეტყველებისა და ენის ასოციაციის (ASHA) მიხედვით, ადრეული ასაკის ბავშვებში სმენის დარღვევის ყველაზე გავრცელებული გამომწვევი მიზეზია: შუა ყურის ანთება. ამ მდგომარეობის დროს ყურში გროვდება სითხე. დაავადების სიმპტომები, სიმძიმე,

სიხშირე და ხანგრძლივობა განსხვავებულია თითოეულ ბავშვში. მსუბუქ შემთხვევებში, იგი შეიძლება უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს (სმენის უმნიშვნელო დაქვეითებით). მძიმე შემთხვევებში კი მას თან ახლავს ტკივილი, ჩირქოვანი გამონადენი ყურიდან და სმენის სამუდამო დაქვეითება.

შუა ყურის ანთებას შეუძლია სმენის დარღვევის გამოწვევა, ის კი თავის მხრივ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ენა-მეტყველების განვითარებაზე. დაბადებიდან 5 წლამდე ასაკი განსაკუთრებით კრიტიკულია ენის ფუნქციის ჩამოყალიბებისთვის. ამ ასაკში ბავშვები სწავლობენ ლაპარაკს სხვების მოსმენის გზით. ხოლო, თუ არ ესმით ან სათანადოდ არ ესმით ბუნებრივია ენა-მეტყველების განვითარება ეტაპობრივად ჩამორჩება ასაკობრივ ნორმას.

განსაკუთრებით საყურადღებოა შუა ყურის ანთება, რომელიც, ფაქტიურად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ბავშვს არ აქვს ტკივილი, არც მაღალი ტემპერატურა. შედეგად მხოლოდ კვირების ან თვეების შემდეგ აღმოაჩენენ ხოლმე მშობლები პრობლემას. ქვემოთ მოცემული ნიშნები შესაძლოა დაეხმაროს მშობელს შუა ყურის უსიმპტომო ანთების დროულად ამოცნობაში

- ☒ უყურადღებობა
- ☒ ტელევიზორის/რადიოს მაღალ ხმაზე მოსმენის სურვილი

- ☒ მითითებების გაგების პრობლემა
- ☒ მოსმენის სირთულე
- ☒ უმიზეზო ჭირვეულობა
- ☒ ყურების ფხაჟა ან კაწვრა

1.3 რა ვიცი სმენის დაქვეითების ხარისხების შესახებ?

სმენის უნარი მერყეობს ნორმალური სმენიდან სიყრუემდე. სმენის დაქვეითების ზუსტი ხარისხის განსაზღვრა მნიშვნელოვანია. სწორედ მასზეა დამოკიდებული რა და როგორ ესმის ბავშვს. ის, ასევე, განაპირობებს აუდიოლოგიური რეაბილიტაციის მეთოდის შერჩევას.

სმენის დაქვეითების ხარისხები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით :

ნორმალური სმენა 25 დეციბელიდან და ნაკლები ინტენსივობის ბგერის აღქმის უნარი. ასეთი სმენის მქონე ადამიანს ჩურჩულის გაგონებაც შეუძლია

სმენის მსუბუქი დაქვეითება (პირველი ხარისხი) – 26-40 დეციბელიდან ზემოთ ინტენსივობის ბგერის აღქმის უნარი. ამ დროს ბავშვს შეუძლია გაიგონოს და გაიმეოროს ნორმალური სიმაღლის ხმით ნათქვამი სიტყვები, ერთი მეტრის დისტანციაზე. სასმენი აპარატი შეიძლება არ დასჭირდეს ბავშვს.


სმენის საშუალო ხარისხის დაქვეითება (მეორე ხარისხი) – 41-60 დეციბელიდან და ზემოთ ინტენსივობის ბგერის აღქმის უნარი. ამ დროს ბავშვს შეუძლია გაიგონოს და გაიმეოროს მაღალ ხმაზე ნათქვამი სიტყვები, ერთი მეტრის დისტანციაზე. რეკომენდებულია ყურის სასმენი აპარატის ტარება.

სმენის ძლიერი ხარისხის დაქვეითება (მესამე ხარისხი) – 61-80 დეციბელიდან და ზემოთ ინტენსივობის ბგერის აღქმის უნარი. ამ დროს ბავშვს შეუძლია ყვირილით ნათქვამი ზოგიერთი სიტყვის გაგონება. ყურის სასმენი აპარატი აუცილებელია, თუ ბავშვი არ ატარებს სასმენს პარატს, რეკომენდებულია ბაგეებიდან-კითხვისა და ჟესტური ენის სწავლება

სმენის მძიმე ხარისხის დაქვეითება (მეოთხე ხარისხი) – 81 დეციბელიდან და ზემოთ ინტენსივობის ბგერის აღქმის უნარი. ამ დროს ბავშვს ყვირილიც არ ესმის. ყურის სასმენი აპარატი შესაძლოა დაეხმაროს ბავშვს სიტყვების გაგებაში. უფრო ხშირად კი ისეთი დამატებითი ჩარევაა საჭირო როგორიცაა : ბაგეებიდან-კითხვა და ჟესტური ენა.

დეციბელებში გამოსახული სმენის დაქვეითების ხარისხი ცოტა დამაბნეველია და ხელს უშლის სმენის სირთულის რეალური სურათის დანახვას. ჩვენ ირგვლივ არსებული ნაცნობი ხმაურების დაკავშირება ბგერის

ინტენსივობასთან, სავარაუდოდ გაუმარტივებს მკითხველს სმენის დარღვევის მქონე ადამიანის მდგომარეობის გაგებას.



ეს აუდიოგრამაა. აქ გამოსახულია როგორც სამეტყველო ბგერების, ასევე სხვა ყოველდღიური ხმაურების სიმაღლე და სიხშირე. მაგალითად აქ ჩანს რომ ნორმალური სმენის ადამიანს შეუძლია გაიგონოს: ფოთლების შრიალის, წყლის წვეთის, ჩიტების ჟღერტულის ხმა და ა.შ. ხოლო სმენის მძიმე ხარისხის დაქვეითების მქონე ადამიანისთვის კი მხოლოდ სატვირთო მანქანისა და ბენზოხერხის ხმაა აღქმადი.

1.4 სმენის დარღვევის ტიპები

სმენის დაქვეითების ხარისხის გარდა, სმენის დარღვევის ტიპიც განსაზღვრავს რეაბილიტაციის მიმდინარეობას. განასხვავებენ სმენის დარღვევის 2 ტიპს :

- 😊 კონდუქტიურს
- 😊 სენსონევრალურს

კონდუქტიური სიყრუე - ეს შუა ყურის ანთებაა (ოტიტი), რაზეც ზემოთ იყო საუბარი. მისი გამომწვევი მიზეზებს შორისაა: ყელ-ყურ ცხვირის ანთება, გაცივება ამოჭრილი გლანდების შედეგად ან ყურებში გოგირდის საცობები. შუა ყურში მიმდინარე ანთებითი პროცესები დიდ გავლენას ახდენენ შიდა ყურზე- არღვევენ რა სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობენ მიკრობებისა და ტოქსინების შეღწევას შიგნით. შედეგად ვითარდება **სენსონევრალური სიყრუე**. ამ ტიპის სმენის დარღვევა შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. შედეგად, გამომწვევ მიზეზებს შორისაა: მემკვიდრეობა, ნეიროინფექციები, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ხმაურის ზემოქმედება, ოტოტოქსიკური პრეპარატების მიღება და ქალა-ტვინის ტრავმები. თანდაყოლილი სენსონევრალური სმენის დაქვეითება ხშირად პროგრესირებს სიცოცხლის პირველ წლებში. უკვე დადგენილია რომ ზოგჯერ სმენის დაქვეითება მემკვიდრეობითია და იგი გამოწვეულია გენების

მუტაციით. მისი მატარებელი ორივე მშობელია, თუმცა მათ სმენის დაქვეითება არ აღენიშნებათ. ამასთან, იმის ალბათობა რომ მათი მეორე შვილი სმენის დაქვეითებით არ გაუჩნდებათ არის 50 %. თუ სმენის დაქვეითების მიზეზი უცნობია, რეკომენდებულია გენეტიკური გამოკვლევის ჩატარება.

1.5 სმენის დარღვევის შედეგად გამოწვეული მეორადი სირთულეები

განვითარების ადრეულ ეტაპზე, ჩვილის ცენტრალური ნერვული სისტემა იღებს, გადაამუშავებს და აერთიანებს ბაზისურ შეგრძნებებს. ამ გზით, ბავშვი ჰარმონიულად ვითარდება და თანაარსებობს გარემოსთან. ბაზისური შეგრძნებები-ელემენტარული, სენსორული ინფორმაციაა. ესენია: ყნოსვა, გემო, სმენა, მხედველობა, ტაქტილური (კანის შეგრძნებები), პროპრიოცეპტორული (სახსრები-კუნთები-მყესებისგან მიღებული შეგრძნებები) და ვესტიბულური (სხეულის ბალანსი, სივრცეში ორიენტაცია და მოძრაობის კოორდინაცია) ინფორმაცია.

რა ხდება მაშინ როდესაც ამ ჰარმონიული და ურთიერთდაკავშირებული წრიდან ამოვარდება სმენითი არხი და სმენითი შეგრძნებები?

ნორმალური სმენის მქონე ბავშვს ესმის დედის ხმა, ცნობს მას. რეაგირებს ინტონაციაზე, ტონალობაზე, მელოდიაზე. მშვიდდება ნაცნობის ხმის გაგონებაზე და

ფაქტიურად ნაცნობი ხმაური ეხმარება ბავშვს იგრძნოს თავი უსაფრთხოდ. ჯერ კიდევ თვეების ასაკიდან სმენითი შეგრძნებები მისთვის ინფორმაციის მატარებელია. ხვდება, რომ თითოეულ ხმაში მისი მნიშვნელობაა ჩადებული. რეაგირებს ჟღარუნას ხმაზე, ეძებს დავარდნილ საგანს რომლის ხმაც გაიგონა, იყურება კაკუნის და დამახების მიმართულებით და ა.შ. სმენის დამსახურებით ბავშვს უვითარდება ორმხრივი ურთიერთობა გარემოსთან. თავად რეაგირებს გარემოს სტიმულაციაზე და სხვებიც რეაგირებენ მის მიერ გამოცემულ ღულუნსა და ტიტინზე. მომდევნო თვეებში ბავშვი უკვე დამოუკიდებლად გადაადგილდება, ხელით სინჯავს ნივთებს და მიაქვს ის ნაცნობ ადამიანებთან. ისინი უხმოვანებენ მას ამნივთის სახელს და ეტაპობრივად ბავშვი ეუფლება სიტყვების პასიურ მარაგს. მას უჩნდება მოტივაცია სულ უფრო ხშირად გაუზიაროს ნივთები უფროსს და ამ გზით შეიმეცნოს გარემო. ამ შემთხვევაში, სმენა და ამ გზით მიღებული უკუკავშირი ფაქტობრივად კომუნიკაციის მამოტივირებელ ფუნქციასაც ასრულებს. სმენის დარღვევის მქონე ბავშვის კი ამ ყველაფერს მოკლებულია. იგი ვითარდება ე.წ. „სენსორული დეფიციტის“ ფონზე.

სმენის დარღვევა ზეგავლენას ახდენს არამართო ბავშვის სმენის უნარზე, არამედ ყველა იმ უმაღლეს ფსიქიკურ

ფუნქციაზე რომელიც ზემოაღწერილი ელემენტარული ინფორმაციის შეჯერების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს. უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციონირება არ არის ერთადერთი სფერო, სადაც აისახება ხოლმე სმენის დარღვევის ზეგავლენა. ამ თავისებურებასთან დაკავშირებულ ცვლილებას ბავშვის განვითარების თითოეული სფერო განიცდის. მაგალითად: სოციალურ-ემოციური სფერო, ვერბალური კომუნიკაცია (ენა-მეტყველება), მსხვილი მოტორიკა, კოგნიტურ-აკადემიური უნარები, თვითმსახურების ჩვევები, სენსორული გადამუშავება და ინტეგრაცია.

სოციალურ-ემოციური სფერო : მოცემულ თემაზე ჩატარებული კვლევების მიხედვით, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ახასიათებთ დაბალი მოლოდინები საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ. თანატოლებთან შედარებით მათ უფრო ხშირად აღენიშნებათ დაბალი თვითშეფასება, სტრესთან გამკლავების არაადეკვატური სტრატეგიები, მაღალი შფოთვა, და სიმორცხვე.

ვერბალური კომუნიკაცია : იმისთვის რომ ბავშვმა დაიწყოს ლაპარაკი, აუცილებელია მოისმინოს თუ როგორ ლაპარაკობს სხვა. ამ გზით იკვებებიან თავის ტვინში ორალურ (სალაპარაკო) ენაზე პასუხისმგებელი უბნები და სმენით საკმარისი გამოცდილების დაგროვების შემდეგ, ბავშვი თავად იწყებს წარმოთქმას. ჯერ ტიტინებს,


ნებს, ღულუნებს, შემდეგ გადადის სიტყვებსა და წინადადებებზე.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვს კი, ან უჭირს სმენითი შეგრძნებების აღქმა და გადამუშავება ან საერთოდ ვერ აღიქვამს ბგერას (სრული სიყრუის შემთხვევაში). ბუნებრივია, იგი ვერ იღებს სხვების ლაპარაკის მოსმენის გამოცდილებას და ვერც წარმოთქმის ეტაპისთვის მწიფდება თავის ტვინი. ენისა და მეტყველების განვითარების გზა ყოველთვის ერთია . განურჩევლად იმისა ბავშვმა 1 წლის ასაკში გაიგონა პირველი ბგერა თუ 4 წლის ასაკში. თუ პირველ ბგერას ბავშვი 4 წლის ასაკში ისმენს, კარგად დაგეგმილი რეაბილიტაციის შედეგად ის რამდენიმე თვეში დაიწებს ტიტინს და არა წინადადებებით ლაპარაკს - მიუხედავად მისი ასაკობრივი მოთხოვნისა. სწორედ ნაკლები, ან არასრულყოფილი სმენითი გამოცდილების გამო, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ რეცეპტულ-ექსპრესიული ენის (რეცეპტული ენა - სხვების ლაპარაკის გაგების უნარი, ექსპრესიული ენა - ლაპარაკი) განვითარებისა და მეტყველების სირთულეები. მათ შორის: სხვების ლაპარაკის გაგების პრობლემა, მსგავსი ჟღერადობის სიტყვებისა და ბგერების გარჩევის სირთულე (მაგ : „ბარი“-„ბალი“; „კაბა“-„კატა“ და ა.შ), ღარიბი ლექსიკური მარაგი, აბსტრაქტული ცნებების ათვისებისა და

წინადადებების გრამატიკულად გამართვის პრობლემა, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი („გულში ჩამივარდა“) ან ორაზროვანი ფრაზების (მაგ : „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“) გააზრება, ბგერის დამახინჯების გამო სიტყვების გაურკვევლად წარმოთქმა („ვაკალო“ - ნაცვლად „ვარსკვლავი“-სა). სრული სიყრუის მქონე ბავშვს შესაძლოა აღენიშნებოდეს სპეციფიკური ხმის ტემბრიც და დამარცვლით საუბარიც. სმენის გამოხატული დაქვეითების შემთხვევაში პრობლემაა, ასევე, სმენითი ყურადღება, ბგერის აღმოჩენა, სმენითი სტიმულის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, სმენითი სტიმულების ერთმანეთისგან გარჩევა და ამოცნობა, თუნდაც არასამეტყველო ხმების შემთხვევაში. ამიტომაც, ენა-მეტყველების განვითარებამდე სწორედ სმენითი აღქმის განვითარების მიმართულებით იგეგმება ხოლმე მუშაობა.

მსხვილი მოტორიკა: სმენის დარღვევა და მსხვილი მოტორული განვითარება რომ კავშირშია, ეგ იმას არ ნიშნავს რომ ყრუ ბავშვი გვიან დაჯდება, ან გვიან გაივლის. თუმცა, რაკი ვესტიბულური და სასმენი ნერვი ორივე შიდა ყურშია განთავსებული, სენსონევრალური სიყრუის მქონე ბავშვს, ასევე, აღენიშნება: მოძრაობისას წონასწორობისა და ბალანსის დაცვის პრობლემა, მოძრაობის კოორდინაციის სირთულე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსხვილი მოტორული

უნარის დეფიციტი მეორადია და გამოწვეულია ვესტიბულური ნერვის დაზიანებით. ბავშვს უჭირს ორი ფეხით ახტომა, გადახტომა, სწორ ხაზზე გავლა, ცალ ფეხზე დგომა ან ხტომა ბარბაცის გარეშე და ა.შ.



კოგნიტურ-აკადემიური უნარები: სმენის დარღვევა ზეგავლენას ახდენს: აზროვნებაზე (ცნებებს შორის ლოგიკური კავშირების დამყარება და მიზეზ-შედეგობრივობის განსაზღვრა), სმენით აღქმაზე, სმენით ყურადღებაზე, მუშა და ვერბალურ მეხსიერებაზე, წერა-კითხვის უნარზე. აღსანიშნავია, რომ სმენის სირთულის მქონე ბავშვების უმრავლესობას (გამონაკლისია მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვები) აღენიშნებათ საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებელი. თუმცა, ჩვეულებრივ არის ხოლმე განსხვავება ენობრივად გაშუალებულ და ენობრივად გაუშუალებელი უნარების განვითარებას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ (არავერბალური ინტელექტუალური კოეფიციენტი მეტია ხოლმე ვერბალური ინტელექტის კოეფიციენტზე).

სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ხშირად აქვს სმენითი აღქმის შევიწროვებული მოცულობა. ანალოგიური სიტუაციაა სმენითი და მუშა მეხსიერების შემთხვევაშიც. მუშა მეხსიერება ეს არის ადამიანის უნარი შეინახოს ინფორმაცია შემდგომი გადამუშავებისთვის და მანიპულაციებისთვის. ამ უნარს ყოველდღიურად იყენებენ ადამიანები მაგ: ზეპირი ანგარიშის დროს, განსახორციელებელი აქტივობების გონებაში დაგეგმვის დროს და ა.შ. მუშა მეხსიერება ასევე დიდ როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღების პროცესებშიც. რაც შეეხება წერასა და კითხვას, რაკი ორივე მათგანი ენობრივად გაშუალებული აკადემიური უნარია, ბუნებრივია ენობრივი კომპეტენციის დეფიციტი აქაც იჩენს თავს. სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ხშირად ექმნება კითხვის ფონოლოგიური სტრატეგიის ათვისების პრობლემა (ეს უკანასკნელი გულისხმობს ასო-ასო ან მარცვალ მარცვალ ამოკითხვას და შემდეგში სიტყვაში გაერთიანებას). სირთულეს წარმოადგენს ასევე წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა. მოსწავლე შესაძლოა სწრაფადაც კითხულობდეს მაგრამ ვერ იაზრებდეს. აღსანიშნავია რომ სწრაფი კითხვის უნარი კითხვის მეორე, ე.წ. ორთოგრაფიული სტრატეგიის დამსახურებაა. ამ დროს მოსწავლე ცნობს სიტყვის ჩანაწერს - ვიზუალურ ხატს, მომენტალურად ახერხებს სიტყვის იდენტიფიკაციას და აღარ სჭირდება მისი ასო-ასო ამოკითხვა. არითმეტიკულ უნარებში

სმენის დარღვევის მოსწავლეს ჩვეულებრივ სირთულე არ აღენიშნება ხოლმე. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ბავშვს უწევს ვრცელი მათემატიკური ამოცანის პირობის დამოუკიდებლად დამუშავება და გაგება.

თვითმომსახურების ჩვევები და დამოუკიდებლობის პრობლემა: ამ ტიპის სირთულე ნაწილობრივ დაკავშირებულია მშობლების მხრიდან ჰიპერმზრუნველობასთან. სმენის დარღვევის დიაგნოსტიკა ბავშვისთვის დიდი სტრესია მთელი ოჯახისთვის. ბუნებრივია, მშობლებს უჩნდებათ ბავშვზე ზრუნვისა და მისი დაცვის გამძაფრებული მოთხოვნილება. შედეგად, ბავშვი აგვიანებს დამოუკიდებლობის მოპოვებას პირადი ჰიგიენის საკითხში, კვებაში, ჩაცმაში, მეცადინეობაში და ა.შ. ამას გარდა, თანატოლებთან შედარებით, უფრო ხშირად აწყდება ხოლმე იმ ტიპის პრობლემებს ყოველდღიურობაში, რომელთა გადაჭრის გამოცდილება მას არ აქვს მშობელთა ჰიპერმზრუნველობის გამო.

სენსორული გადამუშავება და ინტეგრაცია : სმენითი არხის შეგრძნებების დეფიციტის ფონზე, შესაძლოა თავი იჩინოს შეგრძნებების შიმშილის ან ამრიდებლობის ქცევამ სენსორულ სისტემებში. ტერმინი „შეგრძნებების შიმშილი“ ნიშნავს რომ ბავშვს არ ყოფნის კონკრეტულ სისტემაში მიღებული ინფორმაცია და გამუდმებით მიილტვის ახალ-ახალი სტიმულების მოსაძიებლად.

მაგალითად, კანის შეგრძნებების შიმშილზე მიუთითებს: გამუდმებული თამაში წყალსა და ქვიშაში, პლასტელინის ან ცომის ჭყლეტის გამძაფრებული მოთხოვნილება, წიწიბურაში-ბრინჯში- ლობიოში თამაშის სურვილი და ა.შ. ამის საპირისპიროდ, „შეგრძნებების ამრიდებლობა“ გულისხმობს ბავშვის ჰიპერგრძნობელობას კონკრეტული ტიპის სტიმულაციისადმი. შედეგად, ბავშვს უჩნდება ამ ტიპის შეგრძნებების თავიდან არიდების სურვილი. „შეგრძნებების ამრიდებლობის“ მაგალითია საკვების შერჩევითობა. ბავშვისთვის შესაძლოა უსიამოვნო იყოს სხვადასხვა ტემპერატურის, სტრუქტურისა და კონსისტენციის საკვების მოთავსება პირის ღრუში. რის გამოც მისი მენიუ ღარიბია. მიირთმევს მხოლოდ დაბლენდერებულს, ან არ აგემოვნებს ხილ-ბოსტნეულს და ა.შ.

თავი 2.

სმენის სირთულის დიაგნოსტიკა და მართვა

სმენის დარღვევის ადრეული დიაგნოსტიკა შემდგომში წარმატებული რეაბილიტაციის საწინდარია. რაც უფრო ადრე აღმოაჩენს მშობელი ბავშვის სმენის პრობლემას, მით უფრო ნაკლები იქნება სმენის დარღვევის შედეგად გამოწვეული მეორადი პრობლემები. ამაზე ცალსახად ყველა თანხმდება. თუმცა, იმისთვის რომ მშობელმა ბავშვი სპეციალისტთან მიიყვანოს სმენის შესამოწმებლად, აუცილებელია იეჭვოს რომ მის შვილს სმენის პრობლემა აქვს. როგორ უნდა მიხვდეს მშობელი ამას ? ვის უნდა მიმართოს დიაგნოსტიკისთვის ? რა ხდება სმენის დარღვევის დიაგნოსტიკის შემდგომ ? ეს თავიც სწორედ ამას ეთმობა. გზას, სმენის დარღვევის ადრეული ნიშნებიდან - სმენის პროთეზირებამდე.

2.1 როგორ ამოვიცნოთ რომ ბავშვს აქვს სმენის პრობლემა ?

ზემოთ ქვეთავებში უკვე იყო აღწერილი რომ სმენის დაქვეითების განსხვავებული ხარისხები არსებობს. ბუნებრივია, განსხვავდება მათი ქცევაში გამოხატულების ხარისხიც. შედარებით მსუბუქი ხარისხის დაქვეითების

შემთხვევაში ბავშვს შესაძლოა არ ესმოდეს შორი დისტანციიდან ნათქვამი სიტყვები, ან საჭიროებდეს კითხვების-მითითებების რამდენჯერმე გამეორებას. უფრო ძლიერი ხარისხისა და თანდაყოლილი სმენის დაქვეითების შემთხვევაში, ბავშვი არ რეაგირებს დამახეხაზე, არ გვიჩვენებს დასახელებულ საგნებს, არ ასრულებს მარტივ მითითებებს - რაც ასაკის შესაბამისად მოეთხოვება, არ რეაგირებს მაღალ და მოულოდნელ ხმებზე. აგვიანებს ტიტინი და ღუღუნი, პირველი სიტყვების თქმა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ თუნდაც სმენის დაქვეითების ძლიერი ხარისხის შემთხვევაში, ბავშვებს შეუძლიათ მუსიკის რიტმის, კაკუნის, კარის მიჯახუნების და სხვა ხმების აღქმა ვიბრაციაზე დაყრდნობით. ეს ხშირად მშობელს შეცდომით აფიქრებინებს რომ სმენა წესრიგშია და პრობლემა სხვა რამეშია. გენეტიკური წარმომავლობით განპირობებული სენსონევრალური სმენის დაქვეითებას ასევე ახასიათებს დაბადებისას არსებული ნარჩენი სმენის განლევა ჩვილის ზრდასთან ერთად. ბავშვი იწყებს ტიტინს, ღუღუნს, პირველი სიტყვების თქმას და მოულოდნელად წყვეტს ლაპარაკს. ეს საგანგაშო ნიშანია და აუცილებლად საჭიროებს სმენის გამოკვლევას.

2.2 სმენის დაქვეითების აღმოჩენასთან დაკავშირებული სირთულეები

სმენის დარღვევის სიმპტომატიკა იკვეთება ბავშვთა ასაკის განვითარების რამდენიმე დარღვევის ნიშნებთან. მათ შორის : რეცეპტულ-ექსპრესიული ენის დარღვევა და აუტისტური სპექტრის აშლილობა. თუ 2 და 3 წლის ასაკამდე ბავშვი ისე მოვიდა რომ შეეჩვია „სიჩუმეში“ ცხოვრებას, არ აქვს სმენის გამოცდილება, ხვდება რომ თანატოლებისგან განსხვავებით თავად ვერაფერს წარმოთქვამს და არც მათი ნათქვამია მისთვის აღქმადი, მას უჩნდება კომუნიკაციის პრობლემა. ამჯობინებს მარტო თამაშს, არ ურთიერთობს თანატოლებთან, არ რეაგირებს დამახეხაზე, არ აკვირდება მოსაუბრის სახეს, არ ასრულებს მითითებებს და ა.შ. ამ სიტუაციაში, რთულდება დიფერენციალური დიაგნოზის გატარება ამ მდგომარეობებს შორის. თუმცა, არსებობს სმენის დარღვევის განმასხვავებელი გასაღებიც. თუ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვს კომუნიკაციის პრობლემა მუდმივად აქვს გამოხატული, სმენის დარღვევის მქონე ბავშვის კომუნიკაციური უნარი რადიკალურად განსხვავებულია მაშინ როცა ადამიანი მისი მხედველობის არეშია და მაშინ როცა არ არის (მაგალითად დგას ბავშვის ზურგს უკან). თუ სმენის დარღვევის მქონე ბავშვი უყურებს მის კომუნიკაციურ პარტნიორს, იგი ძალიან კარგად რეაგირებს კომუნიკაციის არავერბალურ

გზებზე. როგორცაა სახის ექსპრესია, ინტონაცია, სხეუ-
ლებრივი ჟესტები. ბავშვი უდიდეს უფროსს, იმეორებს მის
მოქმედებებს, იწვევს, მანიპულირებს მისი რეაქციებით,
გამიზნულად იცევეს ყურადღებას. საკმარისია შეტრი-
ალდეს ზურგით და სრულიად წყდება კომუნიკაცია, არ
რეაგირებს სმენით გამღიზიანებელზე, თამაშობს მარტო
და სიტყვით ვერ ხერხდება მისი ყურადღების მიქცევა.
ასეთ რადიკალური განსვლა აჩენს ეჭვს რომ პრობლემა
სმენის სირთულეშია და არა კომუნიკაციის უნარში.

2.3. ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და სმენის გამოკვლევის რა მეთოდები არსებობს ?

სმენის შეფასების მიზნით, მშობელმა უნდა მიმართოს
აუდიოლოგს. ახალშობილ ბავშვებში, სმენის სკრინინგის
ფარგლებში სმენას იკვლევენ „ოტოაკუსტიკური ემისიის“
მეთოდით. ეს გზა უმტკივნეულოა, საიმედო, ხანმოკლე
და ობიექტური. არკვევს აღიქვამს თუ არა ბავშვი 30 დეც-
იბელ ინსტენსივობის ზგერას და პასუხს სცემს კითხვაზე:
არის თუ არა სმენის დაქვეითება ? თუმცა, ეს მეთოდი არ
გამოდგება სმენის დაქვეითების ხარისხის დასადგენად.
სმენის დაქვეითების ტიპის, ისევე როგორც დაქვეითების
ხარისხის განსასაზღვრად იყენებენ: ობიექტურ და ტონა-
ლურ აუდიომეტრიას. ობიექტური აუდიომეტრიის მეთო-
დი უფრო მეტად გამოიყენება ადრეული ასაკის ბავშვებში

სმენის შესამოწმებლად. ეს მეთოდი ნაკლებად მოითხოვს
ბავშვის მხრიდან ჩართულობას ან მითითებების
შესრულებას. ამ დროს იზომება ტვინის ელექტრული
პოტენციალი მიწოდებულ ზგერაზე საპასუხოდ და ასე
ადგენენ ნორმას, ან ნორმიდან გადახრას. ტონალურ
აუდიომეტრის უფრო მეტად იყენებენ 5 წლის და მეტი
ასაკის ადამიანებში. ბავშვების შემთხვევაში ტონალური
აუდიომეტრია ტარდება თამაშით და ბავშვისგან მოი-
თხოვს პირობითი რეაქციების განხორციელებას ზგე-
რის გაგონებაზე. მაგალითად: გაიგონა ზგერა და უნდა
ჩამოცვას რგოლი პირამიდაზე, ან გაიგონა ზგერა და უნდა
ჩააგდოს კუბიკი ჭიქაში. არსებობს სმენის გამოკვლევის
სხვა მეთოდებიც, თუმცა ბავშვთა ასაკში ზემოთ აღწერილი
ვარიანტები უფრო მეტად პოპულარულია.

აუდიომეტრიის საფუძველზე, აუდიოლოგი ბავშვისთვის
აგებს ე.წ. აუდიოგრამას. ეს სმენის სიმახვილის გრაფიკული
ჩანაწერია. აქ მოცემულია ინფორმაცია როგორც სმენის
დაქვეითების ხარისხის, ასევე სმენის დაქვეითების ტიპის
შესახებ. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არჩევენ
აუდიოლოგი სმენის დამხმარე ხელსაწყოს.

2.4. სმენის პროთეზირება : სასმენი აპარატი და კოხლეარული იმპლანტაცია


სმენის დაქვეითების ხარისხის დადგენის შემდეგ, აუდიოლოგი იღებს გადაწყვეტილებას. რა დახმარე ხელსაწყო სჭირდება ბავშვს ? სასმენი აპარატი ? კოხლეარული იმპლანტაცია ?

გადაწყვეტილების მიღება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგ : სმენის დაქვეითების მხარეობა, (ცალი ყური თუ ორივე ?) ბავშვის ასაკი ,სმენის დაქვეითების ტიპი და რათქმაუნდა ხარისხიც.

სასმენი აპარატი ემსახურება ნარჩენი სმენის გაძლიერებას. მას რეკომენდაციას უწევს ხოლმე უფრო მეტად სმენის დაქვეითების დროს და არა აბსოლუტური სიყრუის შემთხვევაში. სასმენი აპარატები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბგერის გაძლიერების ძალითა და მუშაობის პრინციპით. მაგალითად, ძველი თაობის სასმენი აპარატები აძლიერებდნენ ყველანაირ ბგერას. როგორც სამეტყველო ხმებს, ასევე ფონურ ხმაურს. ეს კი დისკომფორტი იყო ბავშვისთვის და ურთულდებოდა სხვების ლაპარაკის გაგება. ახალი თაობის სასმენი აპარატები კი კონკრეტულად სამეტყველო ბგერების გაძლიერებაზე არიან მომართული. ორივე ყურში სმენის დაქვეითების შემთხვევაში, სასმენი აპარატიც ორივე ყურზე უნდა

გაუკეთდეს ბავშვს. ეს ეხმარება მას მიხვდეს საიდან მოდის სმენითი სიგნალი (სტიმულის ლოკაცია) ხმაურიან სიტუაციაში. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ორივე ყურში აქვს სმენა დაქვეითებული და სასმენი აპარატი უკეთია მხოლოდ ცალ ყურზე, სასურველია თუ სასმენი აპარატის მხრიდან დაველაპარაკებით.

აბსოლუტური სიყრუის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, მეოთხე ხარისხის სმენის დაქვეითება, აუდიოლოგი გასცემს კოხლეარული იმპლანტაციის რეკომენდაციას. ეს მეთოდი გულისხმობს ქირურგიული ჩარევის გზით შიგნითა ყურში არსებულ ლოკოკინაში ელექტროდების ჩანერგვას, რომელიც ბგერას ელექტრულ იმპულსებად გარდაქმნის და ნერვულ ბოჭკოებს აწვდის. კოხლეარული იმპლანტის აპარატი ორნაწილიანია : შიდა ნაწილი ,რომლის იმპლანტაცია ოპერაციის დროს ხდება და გარეთა, ე.წ. პროცესორი რომელიც შიდა ნაწილს უკავშირდება.



ამ ოპერაციის გაკეთებამდე, აუცილებელია რომ ბავშვმა ატაროს სასმენი აპარატი, სმენითი გამოცდილების შეძენის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ბავშვს გვიან ასაკში აღმოუჩინეს სმენის დაქვეითება (იგულისხმება სასკოლო ასაკი) და სასმენი აპარატის საჭიროება, მან შეიძლება იხამუშოს მისი მორგება. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის მხარდაჭერა ცვლილებასთან შეგუების პროცესში. მას შემდეგ რაც ბავშვი იკეთებს სასმენ აპარატს, აუდიოლოგი აკვირდება რამდენად უმჯობესდება ბგერის აღქმა სმენის ამ დამხმარე ხელსაწყოს საშუალებით. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, როცა დასტურდება რომ ნარჩენი სმენა არ არის საკმარისი სასმენი აპარატით ფუნქციონირებისთვის, უკვე იგეგმება კოხლეარული იმპლანტაცია. ამ ტიპის ოპერაციის ჩასატარებლად ასევე აუცილებელი პირობაა **სასმენი ნერვის ნორმალური მდგომარეობა**. თუ ორივე ყურში მძიმე ხარისხის სმენის დაქვეითებაა, რეკომენდებულია ორივე მხარეს იმპლანტის ჩადგმა. თუ არ არის ორივე ყურში იმპლანტაციის საშუალება, სასურველია რომ მეორე ყურზე ბავშვს ეკეთოს სასმენი აპარატი ნარჩენი სმენის გასაძლიერებლად. რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება კოხლეარული იმპლანტაცია, მით უფრო მეტი დრო აქვს ბავშვს სმენისა და მეტყველების რეაბილიტაციისთვის და მით უკეთესია შედეგიც.

მშობლისთვის აუცილებელია იმის ცოდნა რომ, სასმენი აპარატის ყურზე გაკეთებით, ან კოხლეარული იმპლანტაციით არ მთავრდება სმენის რეაბილიტაცია. პირიქით, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება. თუნდაც სასმენი აპარატით, ნარჩენი სმენის შემთხვევაში, ბავშვის ყური განსხვავებულად აღიქვამს ბგერას. საჭიროა ამ განსხვავებასთან შეგუება, ბგერის თითოეულ მახასიათებელთან მორგება. აბსოლუტური სიყრუისა და კოხლეარული იმპლანტის შემთხვევაში კი, (თუ ბავშვი დაბადებიდან ყრუა და არ აქვს სმენითი გამოცდილება) პროცესორის ჩართვის შემდეგ ბავშვი მის ცხოვრებაში პირველად აღიქვამს ხმაურს. ჩვეულებრივი იმეშინებულია ხოლმე და დაბნეული. მან დიდი გზა უნდა გაიაროს ელემენტარული ბგერის აღმოჩენა-დაფიქსირებიდან - მიმართული ენის გაგებამდე და ლაპარაკის დაწყებამდე. აღსანიშნავია რომ თუ სმენის დარღვევა შეძენილია და ბავშვს ჰქონდა სმენის გამოცდილება კოხლეარულ იმპლანტაციამდე, სმენითი აღქმის გაუმჯობესებაზე მუშაობა უფრო სწრაფად და შედეგიანად მიმდინარეობს ხოლმე. ბავშვი უფრო მარტივად აფიქსირებს ბგერას, ადგენს მის ლოკაციას სივრცეში, ანსხვავებს სხვადასხვა ტემბრისა, სიმაღლისა და ხანგრძლივობის ხმებს და ა.შ.

ნიკოლოზი მე-3 კლასის მოსწავლეა. იგი ახალი გადმოსულია ამ სკოლაში. სასწავლო წლის დასაწყისში ბავშვს დაუდგინდა მეორე ხარისხის სმენის დაქვეითება და სასმენი აპარატის საჭიროება. ნიკოლოზი უარს ამბობს სასმენი აპარატის ტარებაზე, ვინაიდან იგი ხაზს უსვამს მის განსხვავებულობას. ფიქრობს რომ ბავშვები დასცინებენ ამის გამო და არ მიიღებენ. იმ მიზნით რომ ნიკოლოზს ეგრძნო კლასელების, სკოლის ფსიქოლოგმა სთხოვა ნიკოლოზის კლასელებს რამდენიმე დღით ეტარებინათ ყურსაცვამები. მეორე დღით ნიკოლოზი კლასში რომ მივიდა, ყველას ყურზე შენიშნა ეს დამატებითი აქსესუარი. ჯერ ძალიან გაუკვირდა, შემდეგ საკუთარი სასმენი აპარატი ამოიღო ჩანთიდან- გაიკეთა ყურზე და სხვებს გაუზიარა („ნახე, მე ასეთი მაქვს“). ბავშვი მომენტალურად მიხვდა რომ ყურზე განსხვავებული აქსესუარი არ არის სირცხვილი და ასეთივეს მისი კლასელები დიდი სიამოვნებით ატარებდნენ, საჭიროების შემთხვევაში. ნიკოლოზის შემთხვევის მიხედვით ჩანს, რომ პოზიტიური კომუნიკაციის სტრატეგიით შესაძლებელია სასმენი აპარატის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

თავი 3.

როგორ ეხმარებიან სპეციალისტები სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ?

სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სმენისა და მეტყველების აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროცესი მოითხოვს კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ ჩარევას. ბავშვს სჭირდება: აუდიოლოგი, სურდოპედაგოგი (აუდიოპედაგოგი), ენის/კომუნიკაციისა და მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი, ჟესტური ენის პედაგოგი, სპეც. პედაგოგი ოკუპაციური თერაპევტი.

აუდიოლოგი აფასებს სმენის დაქვეითების ხარისხს, აგებს აუდიოგრამას და რეკომენდაციას უწევს სმენის დამხმარე ხელსაწყოს. ეხმარება მშობელს ბავშვის სასმენი აპარატის, ან კოხლეარული იმპლანტის პროცესორის დარეგულირებაში. (საჭიროა პერიოდული ვიზიტები აუდიოლოგთან აპარატის სიხშირეების ცვლილების მიზნით). **სურდოპედაგოგი** და **ენა/მეტყველების/კომუნიკაციის თერაპევტი** მუშაობენ სმენითი აღქმისა და ენა-მეტყველების განვითარების მიმართულებით. **ფსიქოლოგი** აფასებს ბავშვის განვითარებას, მის სოციალურ-ემოციურ და კომუნიკაციურ უნარებს, ადგენს ბავშვის ძლიერ და

სუსტ მხარეებს. **ქესტური ენის პედაგოგი** მუშაობს ბავშვთან ქესტური ენის ათვისების მიმართულებით. ეს უკანასკნელი ეხმარება ბავშვს ვერბალური დეფიციტის პირობებში - სიმბოლური აზროვნების განვითარებაში, გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღებაში. ქესტური ენა აუმჯობესებს ბავშვის კომუნიკაციის უნარს - გარკვეულწილად ახდენს თანატოლებთან ინტერაქციისა და ქცევის სირთულეების პრევენციას მომავალში. **სპეციალური პედაგოგი**, მშობელთან და საგნის პედაგოგთან ერთად, ადგენს სმენადაქვეითებული მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იგი მუშაობს ინდივიდუალური გეგმის მიზნებისა და აქტივობების მიხედვით ბავშვთან, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად რესურს ოთახში. ოკუპაციური თერაპევტი შესაძლოა არც დასჭირდეს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს. მისი დახმარება რეკომენდებულია მაშინ, როცა დარღვეულია: შეგრძნებების გადამუშავებისა და მოწესრიგების უნარი, მოტორული უნარი, ლექვა-ყლაპვის უნარი. ასევე თუ ვერ ხერხდება თვითმომსახურების ჩვევების ათვისება მშობლის მცდელობის მიუხედავად.

3.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მშობლის როლი მის შედგენასა და განხორციელებაში

სმენის დარღვევის მქონე ბავშვს სკოლაში შეიძლება დასჭირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ჩვეულებრივ, იგი საჭიროა ხოლმე იმ საგნებში, სადაც ტექსტის წაკითხვა და გადამუშავებაა საჭირო. არითმეტიკის გამოწვევებს, კი მოსწავლემ, შესაძლოა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გარეშე გაართვას თავი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს ეროვნული სასწავლო პროგრამის მორგებას სმენის დარღვევის მქონე ბავშვის შესაძლებლობებისადმი. ხშირად, რაკი ენა-მეტყველებაა ხოლმე ასეთი მოსწავლის სუსტი მხარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაც ენობრივად გაშუალებულ საგნებშია ხოლმე საჭირო. საგნის პედაგოგი კონკრეტული მოსწავლისთვის განსაზღვრავს სემესტრისთვის მისაღწევ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს, სპეც. პედაგოგთან ერთად შეუსაბამებს აქტივობებს და იწყებს სწავლებას. როგორც მიზნების, ასევე აქტივობების შედგენის პროცესში აუცილებლადაა ჩართული მშობელი. მიზნები აირჩევა ბავშვის ყოველდღიური პრიორიტეტული გამოწვევების მიხედვით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგე-

ნაში საგნის პედაგოგის, სპეც.პედაგოგის, სკოლის ბაზაზე არსებული სხვა დახმარე სპეციალისტის (მაგალითად: მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი, სურდოპედაგოგი, ჟესტური ენის პედაგოგის) და მშობლის ჩართულობა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და შეთანხმებულ მუშაობას საერთო მიზნების ირგვლივ. ეს კი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მუშაობა განსხვავებულ მიზნებზე და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლეს კლასში შესაძლოა დასჭირდეს ჟესტური ენის სპეციალისტი ან ჟესტური ენის თარჯიმანი.

თავი 4.

სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლება

მოცემული თავი ეთმობა სმენის დარღვევის მქონე ბავშვის განათლებისთვის საჭირო სტრატეგიებსა და აქტივობებს. აგრეთვე, ხაზგასმულია ოჯახის როლი ბავშვის განვითარების პროცესში.

4.1. ოჯახის ფსიქოგანათლებისა და ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის განვითარების პროცესში

სმენის დარღვევის დიაგნოზი ეს არ არის ტრაგედია - აუცილებელია, რომ ეტაპობრივად ოჯახის თითოეულმა წევრმა მოახერხოს ამის მიღება და გააზრება. დიაგნოზის - ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაწყისი ბავშვისთვის და ოჯახისთვის. ამ ცვლილებებს აუცილებლად ექნებათ პოზიტიური შედეგი.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვის რეაბილიტაცია-აბილიტაციის მეთოდის მიუხედავად, ყველა სპეციალისტი თანხმდება იმაზე, რომ მშობლის სწორ ჩართულობას ამ პროცესში ფაქტიურად გადამწყვეტი და კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამას კვლევებიც ადასტურებენ და

კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს სმენადაქვეითებული ბავშვის მშობლის ფსიქოგანათლების როლს. ბუნებრივია, ხელოვნურ გარემოში კვირაში რამდენიმე შეხვედრით, სპეციალისტი ვერ მოახერხებს გაამახვილებინოს ბავშვს ყურადღება ირგვლივ არსებულ ყველა ხმაზე. სამაგიეროდ, ეს შეუძლია მშობელს, რომელიც მუდმივად ბავშვის გვერდით იმყოფება. აუცილებელია რომ მშობელი დაესწროს თერაპიის თითოეულ შეხვედრას, დასვას კითხვები და შეასრულოს სახლში სპეციალისტის მიერ მიცემული რეკომენდაციები. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში მშობლები თავად ყალიბდებიან ხოლმე „ინდივიდუალურ სურდოპედაგოგებად“ საკუთარი შვილებისთვის და ეხმარებიან ბავშვს ყოველდღიური გამოწვევების გამკლავებაში.

4.2. მულტიმოდალური სწავლების მნიშვნელობა სმენის დაქვეითების მქონე ბავშვისთვის

საწყის ეტაპზე, მშობლისთვის ალბათ საინტერესოა რას ნიშნავს ტერმინი „მულტიმოდალური სწავლება“. ეს არის მეთოდი, როდესაც სწავლების პროცესში ბავშვს ინფორმაცია მიეწოდება შეგრძნების ყველა არხის გამოყენებით. მხედველობითაც, სმენითაც, გემოთი, ტაქტილურად და ა.შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სმენის დარღვევის

მქონე ბავშვისთვის, რათა მოსმენილმა სიტყვამ შეიძინოს მნიშვნელობა და ის არ დარჩეს ბგერების უბრალო ერთობლიობად. თუ მაგალითად, მშობელი მუშაობს ბავშვთან სიტყვა „ყურძენი“-ს გაგებასა და დასახელებაზე, რეკომენდებულია შემდეგი მასალის გამოყენება.

😊 **ნამდვილი ყურძენი** (სასურველია თეთრი და შავი ყურძენიც, რამდენიმე განსხვავებული ჯიშიც - ასეთი მრავალფეროვნება ბავშვს გაუმარტივებს სიტყვის განზოგადების პროცესს)

😊 **ყურძნის სურათი, რომელსაც ქვემოთ აქვს წარწერა „ყურძენი“.** ნამდვილი ყურძნის წყალობით, ბავშვს აქვს საშუალება შეხებით მოსინჯოს ეს ხილი და დააკვირდეს მის აგებულებას. ეს ტაქტილური ინფორმაციაა. მას აგრეთვე შეუძლია დააგემოვნოს ყურძენი - ეს გემოს შეგრძნებებია. გასინჯვის დროს ხილი სპეციფიკურ ხმას გამოსცემს, მშობელი კი უხმოვანებს და უსახელებს რომ ეს არის ყურძენი - ეს სმენით არხში მიღებული ინფორმაციაა. ყურძნის ვიზუალური დათვალიერება და მის ფოტოზე დაკვირვება, ისევე როგორც ამ სიტყვის ჩანაწერი (სიტყვის ორთოგრაფიული ხატი) - უკვე მხედველობითი ინფორმაციაა. შეგრძნებების ამ განსხვავებულ არხებში მიღებული ინფორმაციის გაერთიანებით „ყურძენი“ მხოლოდ მოსმენილი სიტყვა აღარ არის. ხდება მისი მრავალფეროვანი აზრდება და

სიტყვასთან დაკავშირებული შინაარსობრივ-ასოციაციური კავშირების გამრავალფეროვნება. შედეგად, ჯამური ინფორმაცია დაახლოებით ასეთია: „ყურმენი პატარა ტოტებზე ასხმული ბურთულებისგან შედგება, იგი შეიძლება იყოს თეთრი ან შავი ფერის. იგი წვნიანია და ტკბილი. სიტყვის ჩანაწერში პირველი და მეორე ასოები განთავსებულია ხაზს ზემოთ. მომდევნო ასო კი - ხაზს ზემოთ და ა.შ. შედგება სულ 7 ასოსგან“. აშკარაა რომ ეს ინფორმაცია ყურმენზე საკმაოდ მრავალფეროვანია. ცნების გამდიდრებისთვის და სემანტიკური ბადის გასაზრდელად ასევე რეკომენდებულია ყურმენის გამოყენების სხვადასხვა გზების აღწერაც და ჩვენებაც. შედეგად ცნება ყურმენ-ს დაემატება ფელამუში, ჩურჩხელა, ყურმენის წვენი და ა.შ.

4.3. კომუნიკაციურ - ქცევითი უნარების განვითარება

არსებობს კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური გზა. ვერბალური კომუნიკაცია ენა-მეტყველებით გაშუალებული პროცესია (ლაპარაკი), არავერბალური კომუნიკაცია კი ხორციელდება ბუნებრივი/სიმბოლური ქესტების, მიმიკისა და ხმის ინტონაციის გამოყენებით. ბუნებრივია ქესტი, რომელსაც ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში იყენებენ ადამიანები და ხელით განხორციელებული მოძრაობა იმეორებს აღსაწერ მოქ-

მედებას ან საგანს. მაგალითად, „დაღევა“ (ჭიქის ფორმაზე მომრგვალებული ხელის პირთან მიტანა და თავის უკან გადაწევა ვითომ წყლის დაღევის მიზნით), „ჭამა“ (პირის ცმაცუნი) და ა.შ. სიმბოლურია ქესტი, რომელიც არ იგივდება აღსაწერი მოძრაობის ან საგნის რომელიმე მახასიათებელთან და პირობითად არის შერჩეული. სხვათა შორის, ვერბალურ ენასა და ქესტურ ენას ერთ-ერთი ეს საერთო აქვს - სიმბოლიზაცია, აზროვნების სიმბოლურ ეტაპზე გადაყვანა.

სმენის დაქვეითების მქონე ბავშვის შემთხვევაში კომუნიკაციის არავერბალურ გზას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ინფორმაციულია არამარტო ქესტურ ენაზე მოსაუბრეთათვის, არამედ ეხმარება ვერბალურ ენაზე მეტყველ ბავშვს უკეთ ჩაწვდეს კონტექსტს და გაიგოს ნათქვამის მნიშვნელობა. მშობელმა აუცილებლად უნდა მიაქცივინოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ყურადღება ნათქვამის ინტონაციასა და მთქმელის სახის ექსპრესიაზე. კითხვითი ინტონაცია განსხვავებულად ჟღერს თხრობითისგან და ბრძანებითისგან. ბავშვმა უნდა იცოდეს მათი ერთმანეთისგან გარჩევა, რათა შეძლოს სწორად რეაგირება.

სახის ექსპრესიისა და ბუნებრივი ჟესტების გაგება-პროდუქციაზე მუშაობა შეიძლება როგორც ყოველდღიური ცოცხალი კომუნიკაციის პროცესში, აგრეთვე - ბავშვთან თამაშის დროს. მშობელი ჰიპერინტენსიურად რეაგირებს ბავშვის თითოეულ მოქმედებაზე, სიტუაციებთან კავშირში გამოხატავს ემოციებს „გახარება“ „გაბრაზება“ „გაოცება“ „მოწყენა“. მაგალითად, მშობელი და ბავშვი თამაშობენ „ექიმის ნაკრებით“. მშობელი ირჩევს კაცუნას, ათამაშებს სიუჟეტს : კაცუნა წაიქცა და ფეხი სტკივა (უფროსი იღებს საუბრის სევდიან ინტონაციას, სახე მოწყენილი აქვს) და ითხოვს შველას (საუბრის ინტონაცია კვლავ იცვლება: მიშველეეთ, მიშველეეთ). ბავშვს ექიმის როლი აქვს, მოდის საკუთარი ნაკრებით და ფეხს მოუჩვენებს კაცუნას. მშობელი კვლავ იცვლის საუბრის ინტონაციას, იგი გახარებულია, გაღიმებული, უკრავს ტაშს და ა.შ. მსგავსი ტიპის წარმოსახვითი თამაშები ბავშვს ასევე ეხმარება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებაში. რა იყო ჯერ ? რა იყო მერე ? როგორ იცვლება მისი ზემოქმედების შედეგად გარემო ? - მსგავსი შემეცნებითი ინფორმაცია ღირებულია სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის.

თანატოლებთან სოციალური ინტერაქციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ისეთი კომუნიკაციურ უნარები როგორიცაა: ჯერის დალოდება, სათამაშოს გაყოფა, მისაღმება, იმპულსის შეკავება ჯგუფური თამაშის დროს, მარცხის მიმღებლობა და ა.შ. ამ მიზნებზე სამუშაო

კარგი ვარიანტია ე.წ. „სამაგიდე თამაშები“. მაგალითად განვიხილოთ თამაშის ვარიანტი, რომლისთვის საჭირო მასალა თავადვე შეგიძლიათ შეაგროვოთ.

სამაგიდე თამაში „ციყვები ფულუროში“

ბავშვთან ერთად პარკში სეირნობის დროს, შეაგროვეთ მცირე ზომის გირჩები. თამაშისთვის საჭირო იქნება მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 16 ცალი გირჩი. შეღებეთ გირჩები მწვანე, წითელ, ყვითელ და ლურჯ ფერებად (ოთხივე ფერის გირჩი უნდა იყოს თანაბარი რაოდენობით. თუ 8 გირჩი გაქვთ: 2 წითელი, 2 მწვანე, 2 ლურჯი და 2 ყვითელი). მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საღებავები. დაგჭირდებათ, ასევე, პლასტმასის პინცეტები (სასურველია მსხვილი, ბავშვისთვის მარტივად მოსაჭიდებელი და დასამორჩილებელი ვარიანტი). პარალელურად, სქელი მუყაოსგან შეკარით დაახლოებით 15 სმ-ის დიამეტრის მქონე წრიული ფორმის 2 ყუთი (სიმაღლე არაუმეტეს 10 სანტიმეტრისა). გამოჭერით ციყვის 2 ფოტო და ჩააკარით თითოეულ ყუთში. სიმბოლურად, ეს იქნება ციყვი ფულუროში. ასევე დაგჭირდებათ წრიული ფორმის ფირფიტა. ის უნდა დაყოთ წითელ, მწვანე, ყვითელ და ლურჯ სექტორებად. ფირფიტაზე დაამაგრებთ ისარს. ისარი იმოდრავებს საკუთარი ღერძის გარშემო. 2

მონაწილე მორიგეობით დაატრიალებს ისარს და რა ფერის სექტორზეც გაჩერდება ის, იმ ფერის გირჩს ჩააგდებს თავის ყუთში. მოგებულია ის ვინც პირველი შეაგროვებს ოთხივე ფერის გირჩს. იმ შემთხვევაში თუ ისარი ჩერდება იმ ფერის სექტორზე, რა ფერის გირჩიც უკვე აქვს მონაწილეს, მაშინ სვლა გადადის მეორე მოთამაშესთან.

თამაშის დაწყებამდე აუხსენით ბავშვს თამაშის წესები ვერბალურად და მოდელირებით. გაახმოვანეთ თამაშის პროცესი, გამოიყენეთ ფრაზები: „ახლა ჩემი ჯერია“, „ახლა შენი ჯერია“, „მოითმინე, დაელოდე შენს რიგს“. თუ წაგებაზე უარყოფითი რეაქცია აქვს, უთხარით: „არაუშავს. ხან მოვიგებთ ხან წავაგებთ. დღეს მე მოვიგე, შემდეგში შენ მოიგებ“ და ა.შ. ნუ მოაჩვენებთ თავს თითქოს სულ აგებთ და ის სულ იგებს. ასე ბავშვი ვერ ისწავლის მარცხთან გამკლავებას და თანატოლებთან ინტერაქციის პროცესში შეექმნება პრობლემები.

აღსანიშნავია რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს შესაძლოა ქცევის პრობლემა შეექმნას იმ ფონზე რომ ვერ იგებს რას ითხოვენ მისგან და ვერც თავად ამყარებს კომუნიკაციას სხვასთან. ეს იწვევს ბავშვის გაღიზიანებას. არის შემთხვევები, როდესაც ყალიბდება ე.წ. „მანიპულატორული“ ქცევა. ბავშვი მიმართავს ისტერიკასა და ტირილს სასურველის მისაღებად როგორც კი დაინახავს რომ მშობლები ლოიალურები არიან მის მიმართ და

ცდილობენ ყველაფერი შეუსრულონ. გახსოვდეთ რომ ქცევის წესების, ისევე როგორც სოციალური ნორმების ათვისება აუცილებელია თითოეული ბავშვისთვის და სმენის დარღვევის მქონე ბავშვი არ არის გამონაკლისი. მან ასევე უნდა იცოდეს რა შეიძლება, რა არ შეიძლება, როგორ არის მისაღები სასურველის მოხოვნა (ყესტით, სიტყვით მაგრამ არა ისტერიკითა და ფიზიკური აგრესიით) და რა შედეგი მოსდევს სახლში არსებული წესის დარღვევას. ბავშვის ქცევის პრობლემაზე მუშაობისას აუცილებელია ოჯახის წევრები იყვნენ შეთანხმებულები და თანმიმდევრულები. შეთანხმებულობა გულისხმობს რომ ოჯახის ყველა წევრს აქვს მსგავსი რეაქცია ბავშვის ქცევაზე.

4.4. წიგნიერებისა და აკადემიური უნარების განმავითარებელი რეკომენდაციები

ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, წიგნიერების უნარების მხარდაჭერა ადრეულ ასაკში სამომავლოდ აძლიერებს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის აკადემიურ წარმატებას. კოგნიტური ფუნქციონირების სუსტი მხარეების გაძლიერება - კიდევ ერთი გზაა აკადემიური უნარების ათვისების ხელშეწყობისთვის.

ეს თავი დაეთმობა იმ კოგნიტურ-აკადემიური უნარების განმავითარებელ რეკომენდაციებს, სადაც ყველაზე ხშირად

აწყდებიან ხოლმე სირთულეს სმენის დარღვევის მქონე ბავშვები. ესენია : აზროვნება (ცნებებს შორის ლოგიკური კავშირების დამყარება და მიზეზ-შედეგობრივობის გასაზღვრა), სმენითი აღქმა, სმენითი ყურადღება, მუშა და ვერბალური მეხსიერება, წერა-კითხვის უნარი, წაკითხულის გააზრება.

დასაწყისში, კარგი იქნება განიმარტოს რას გულისხმობს წიგნიერების უნარების მხარდაჭერა? ეს არის კითხვისა და კითხვასთან დაკავშირებული უნარების საფუძვლად მდებარე ფუნქციების სტიმულირება. შესაძლოა გზამკვლევის მკითხველს უნახავს თუ არა სმენადაქვეითებული ბავშვის სახლში ნივთებზე დამატებული შესაბამისი წერილობითი სიტყვები? მაგალითად, „კარადაზე“ დამატებულია დაწერილი სიტყვა „კარადა“, „ფარდაზე“ დამატებულია დაწერილი სიტყვა „ფარდა“ და ა.შ. საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება ეს?

მიზანი სმენის დაქვეითების მქონე ბავშვის წიგნიერების უნარების მხარდაჭერაა ადრეული ასაკიდან. კითხვისას, სმენის დაქვეითების მქონე ბავშვი უპირატესად ეყრდნობა ე.წ. ორთოგრაფიულ სტრატეგიას (ვიზუალურ-მთლიანობრივი კითხვა). ბავშვი უყურებს სიტყვას, მთლიანობაში აღიქვამს მის ვიზუალს, ადარებს მეხსიერებაში არსებულ ორთოგრაფიულ ხატებს და

ამოცნობის შემდეგ გადადის სხვა სიტყვაზე. ბუნებრივია ეს პროცესი წამებში ხდება, რაც სმენადაქვეითებულ ბავშვს სწრაფი კითხვის საშუალებას აძლევს. იმის გამო რომ ადრეული ასაკიდანვე ბავშვი ირგვლივ ხედავდა თითოეული საგნის შესაბამის ჩანაწერებს, სასკოლო ასაკში სწრაფადაც კითხულობს და წაკითხულის გააზრებასაც უკეთ აკეთებს (ჩანაწერი „კარადა“ მომენტალურად ააქტიურებს შესაბამის საგანს).

რეკომენდაციები კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად :

✓ წახალისეთ ბავშვი დამარცვლით ამოკითხვისას მარცვლიდან-მარცვალზე გადავიდეს წამლერებით და რბილად, გამოხატული პაუზის გარეშე. ეს დაეხმარება მას სიტყვის სმენით გამთლიანების პროცესში

✓ იმუშავეთ მასთან კითხვის ორთოგრაფიული სტრატეგიის გაძლიერებაზე.

💡 ჩამოწერეთ სიტყვები ფურცელზე. (ერთიდაგივე სიტყვები ჩაწერეთ ორჯერ). შემდეგ დაჭერით. დაალაგეთ მაგიდაზე და აურიეთ. სთხოვეთ ბავშვს რაც შეიძლება სწრაფად იპოვოს იდენტური სიტყვები, დანიშნეთ დროც.

💡 მიაწოდეთ ბავშვს: 2 ერთმარცვლიანი, ორი ორმარცვლიანი და ორი სამმარცვლიანი სიტყვა. სთხოვეთ

იპოვოს ასეთივე სიტყვები ქვემოთ გაბნეულ ასოებში და შემოხაზოს.

მაგალითად, იპოვე სიტყვები :

“ხარი” „ფარი“

დჯცტფნვჰტფნვკფნმნხარივკნფმკბდვჯდჯეიოფოვმეჰჰო

დკასქჰომცნფფფგეიჯნჯფჰნჯკნფარისკცნვჯფ

💡 გამოჭერით ბავშვისთვის ნაცნობი 10 ობიექტის სურათი (შეურიეთ სხვადასხვა რაოდენობის მარცვლიანი სიტყვები). ასევე გაამზადეთ და გამოჭერით შესაბამისი დასახელებები. აურიეთ ეს ბარათები მაგიდაზე. სთხოვეთ ბავშვს რაც შეიძლება სწრაფად მოძებნოს სურათის შესაბამისი სიტყვა. დანიშნეთ დრო

ბალი

ფეხსაცმელი

სტაფილო

მზე



**აქტივობები წაკითხულის შინაარსის გააზრების გასაუ-
ჯობესებლად :**


- ✔ ასწავლეთ ბავშვს ტექსტის დამუშავების სტრატეგი-
ები.
- 💡 „ამოიწერე უცხო სიტყვები“ და შექმენი ლექსიკონი
- 💡 შექმენი ტექსტის თანმიმდევრული გეგმა
- 💡 რამდენჯერმე წაკითხე აბზაც-აბზაც და მოკლედ მო-
ინიშნე შინაარსი
- ✔ მიაწოდეთ სურათები და სთხოვეთ ააგოს წინადა-
დება მოცემული სურათების გამოყენებით. აქტივობა რომ
უფრო სახალისო გახდეს, მიეცით მშრალი წებო და თაბახის
ფურცელზე ჩააწებოს. წინადადება გრამატიკულად უნდა
გამართოს უკვე ასოებით. მაგალითად, მივაწოდოთ
გოგონას, წიგნისა და ყუთის სურათი.

მზა “წინადადებას” უნდა ჰქონდეს ასეთი სახე :




გოგონამ წიგნი ყუთში ჩადო

თავადაც შეუქმენით მსგავსი რებუსები და წაკითხეთ ბავშვს მცირე ზომის ტექსტები. კითხვის პროცესი მისთვის სახალისო იქნება, თან წაკითხულიდან შინაარსის გამოტანაც გაუმარტივდება.





აზროვნებისა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების გასაუმჯობესებლად:

✔ მოამზადეთ ე.წ. ასოციაციური წყვილები, მაგალითად: ხელი-ფეხი, გოგო-ბიჭი, კვერცხი-ქათამი და ა.შ. ეს სიტყვები დაიტანეთ ფურცელზე და დაჭერით. აურით. სთხოვეთ ბავშვს რაც შეიძლება სწრაფად მოძებნოს ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები და ახსნას რატომ დააკავშირა ისინი



✔ მოვლენათა თანმიმდევრობის გააზრებისთვის, ასევე მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისთვის გამოგადგებათ როგორც სერიული ასევე „ჯერ - შემდეგ“ ტიპის სურათები. „ჯერ-შემდეგ“ ტიპის სურათების მაგალითია: დათვი წყალს უსხამს მცენარეს-მცენარე გაიფურჩქნა და ახლა ლამაზი ყვავილია; დათვი დაიღალა-შემდეგ დაიძინა, დათვი ცომს ზელს - დათვმა ნამცხვარი გამოაცხო და ა.შ. ქვემოთ მოცემულია მაგალითები.





სურათების ერთობლიობას, სადაც თანმიმდევრულადაა ამზავი გადმოცემული (ჩანს დასაწყისი, მოვლენათა განვითარება და დასასრული) - **სიუჟეტური სურათები ჰქვია**. ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ ვარიანტები, რომლებიც შედგება 3-დან 6-მდე სურათისგან. ამოხეკდეთ. აურიეთ თანმიმდევრობა და სთხოვეთ ბავშვს დააღაგოს ისე რომ დასრულებული ამზავი გამოვიდეს. შემდეგ თითოეული სურათის სიუჟეტი აღწერეთ წინადადებით (მოყვებით ამზავი) და ჩაიწერეთ ეს თანმიმდევრული ამზავი.



თუ ბავშვი დამოუკიდებლად ვერ ალაგებს სწორად, ვეხმარებით. შემდეგ ვუყვებით ამზავს . ბავშვი გვისმენს. შემდეგ თავად ყვება. თუ ვერ ახერხებს მოყოლას, თქვენ უსვამთ მიმანიშნებელ კითხვებს და ის პასუხობს.



ამ სიუჟეტის შინაარსი შემდეგნაირად შეიძლება გავაცნოთ ბავშვს:

ერთხელ, დიდი თოვლი მოვიდა და ბიჭმა თოვლის ბაბუს აშენება გადაწყვიტა. მან ჯერ თოვლის დიდი გუნდები გააკეთა. შემდეგ თოვლის პირველ გუნდას მეორე და მესამე გუნდები დაადო. მერე თოვლის ბაბუს ცხვირის მაგივრად სტაფილო გაუკეთა, თვალების მაგივრად კი - ნახშირები. ბოლოს ქუდიც დაახურა და „ხელებიც მიაბა“.

აქტივობები სმენითი ყურადღების გასაუმჯობესებლად :

- ✓ ფონური ხმაურის დროს (მაღალ ხმაზე ჩართული ტელევიზორი) თხოვეთ ბავშვს თქვენ მიერ დასახელებული სიტყვების გამეორება.
- ✓ დაიჭირეთ ხელში რომელიმე მუსიკალური საკრავი, მაგალითად ქსილოფონი. დაუკარით მასზე (ქსილოფონის ჯოხით დააკაკუნეთ ერთხელ) ბავშვმა უნდა დააფიქსიროს ეს ხმა სხვასთან საუბრის პარალელურად.

ხმის დაფიქსირებისას, ბავშვმა უნდა შემოკრას ტაში. გაიმეორეთ რამდენჯერმე, ეტაპობრივად შეამცირეთ ბგერის სიმაღლე.

აქტივობები მუშა და ვერბალური მეხსიერების განსავითარებლად :

✔ ბავშვს ეუბნებით სიტყვების რიგს და სთხოვთ თანმიმდევრობით გაგიმეოროთ (იწყებთ 2 ერთეულიდან და ეტაპობრივად ზრდით რაოდენობას)

✔ წინასწარ ამზადებთ ცხოველებისა და ფრინველების სურათებს. ბავშვს ეუბნებით სიტყვებს (მაგალითად: ბუ, ირემი, მგელი) და თხოვთ ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით დაგილაგოთ მიწოდებული სურათები. ბავშვი იწყებს სურათების გადალაგებას მხოლოდ მას შემდეგ რაც თქვენ დაასრულებთ სიტყვების მიწოდებას.

✔ ეუბნებით სიტყვებს და თხოვთ დააღაგოს მოსმენილი ობიექტები სიდიდის მიხედვით. მაგალითად:

💡 „დააღაგე პატარიდან-დიდისკენ შემდეგი სიტყვები: ვაშლი, საზამთრო, ბალი“. ბავშვმა თან უნდა დაიმახსოვროს და თან უნდა დაამუშავოს ეს ინფორმაცია მითითებისამებრ (დააღაგოს ზრდადობის მიხედვით)

✔ აქტივობა „წინადადებებით ანგარიში“. ბავშვს უკითხავთ წინასწარ თქვენ მიერ მომზადებული „ამოცანის“ პირობას:

„მოცემულია პირველი წინადადება : „გოგო ჭამს“.

მოცემულია მეორე წინადადება: „ბიჭი მღერის“. პირველი წინადადების პირველ სიტყვას დაუმატე მეორე წინადადების მეორე სიტყვა. რა გამოვიდა ?“ (ამ ამოცანის პირობის გასაგებად, ბუნებრივია ბავშვს კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული მიმართული ლაპარაკის გაგების უნარი)

✔ ბავშვს ეუბნებით ციფრების რიგს და სთხოვთ გაგიმეოროთ უკუთანმიმდევრობით (იწყებთ ორი ერთეულიდან)

✔ ბავშვს ეუბნებით სიტყვებს და თხოვთ დაიმახსოვროს მხოლოდ კონკრეტული კატეგორიის სიტყვები. მაგალითად, მიმართეთ ბავშვს შემდეგ მითითებით: „ახლა მე გეტყვი რამდენიმე სიტყვას. შენ მომისმინე. დაიმახსოვრე მხოლოდ ცხოველები და შემდეგ ჩამომითვალე“.

ბუ ფანქარი ჭიქა
კატა ბოთლი მგელი

თავი 5.

ენისა და მეტყველების განვითარების ხელშეწყობა

როდის დაიწყებს ბავშვი ლაპარაკს ? ეს ყველაზე გარკვეული შეკითხვაა რასაც სვამს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მშობელი, მისი შვილის სმენის პრობლემების შემდეგ (სასმენი აპარატი ან კოხლეარული იმპლანტაცია). თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ამითმხოლოდ იწყება სმენის რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროცესი და არ მთავრდება. ბავშვის ყურს უკვე შეუძლია ბგერის აღქმა ფიზიოლოგიურ დონეზე, თუმცა ახლა მან უნდა ისწავლოს ბგერის „მოსმენა“, გარჩევა, ამოცნობა და ა.შ. შეჯამების სახით რომ ითქვას, ძლიერი და მძიმე სმენადაქვეითების შემთხვევაში, საწყისი სამუშაო მიზნები სმენითი აღქმის განვითარების მიმართულებით ლაგდება. მშობელმა რომ ბავშვთან მუშაობა მოახერხოს სახლში, ამისთვის ეს სამუშაო პროცესი ბავშვისთვის სასიამოვნო უნდა იყოს და კომფორტული. ეს შესაძლებელია მაშინ თუ მუშაობას აქვს თამაშის და არა სწავლების სახე. როგორ ვასწავლო ბავშვს თამაშით ? - მშობელი ხშირად სვამს ხოლმე მსგავსი ტიპის შეკითხვას.

ენისა და მეტყველების განვითარების ხელშეწყობისთვის, შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ☒ გამოყავით ბავშვთან თამაშისთვის ფიქსირებული საათები (მაგალითად: სადილის შემდეგ, შპახის მიღების შემდეგ და ა.შ.). ეს უქმნის ბავშვს მზაობას, რადგან ელოდება და ფიქრობს თქვენთან გასატარებელ საათზე.
- ☒ რაკი ბავშვთან თამაშს ამ შემთხვევაში კონკრეტული საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს, მნიშვნელოვანია რომ აქტივობებისთვის საჭირო სათამაშოები მისთვის მიმზიდველი და საინტერესო იყოს. ამიტომაც, თქვენი შეხვედრებისთვის განკუთვნილი სათამაშოები შეინახეთ ცალკე კონტეინერში. ისე რომ ბავშვს არ ჰქონდეს თქვენ გარეშე თავისუფალი წვდომა მათთან. ასე იგი მეტ ინტერესს შეინარჩუნებს და უფრო ხანგრძლივად იქნება ჩართული სათამაშო პროცესში.
- ☒ შექმენით ერთობლივი თამაშ-მუშაობის მარტივი სტრუქტურა, დაიწყეთ და დაასრულეთ მიმდინარე აქტივობა. მხოლოდ შემდეგ გადადით მომდევნოზე. სასკოლო ასაკის ბავშვთან კი აქტივობების თანმიმდევრობის გეგმის შექმნაცაა შესაძლებელი. თუ ბავშვი კითხულობს, თანმიმდევრულად დანომრეთ და ჩაწერეთ აქტივობები, თუ ბავშვი არ კითხულობს - მაშინ თანმიმდევრულად დანომრეთ აქტივობების შესაბამისი

სურათები და ასე ააწყვეთ გეგმა. ყოველი აქტივობის დასრულებისას კი გააცანით და მიუთითეთ შემდეგზე.

 იყავით მაქსიმალურად პიზიტიური. მოირგეთ „პარტნიორის“ და ბავშვთან ერთად მოხალისე ადამიანის როლი. მოერიდეთ „მასწავლებლობანა“-ს. დირექტიული ტონი და მხოლოდ მითითებების გაცემა თქვენგან მალე დაუკარგავს ბავშვს ერთობლივი თამაშის ინტერესს. იყავით ბავშვთან, ბავშვის გვერდით. უფრო მეტად გაახმოვანეთ და აღუწერეთ მოვლენები.

 ერთობლივი თამაშის პროცესში გამოსაყენებელი აქტივობების მასალა ბუნებრივია დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, თუმცა ამ ზოგადი ჩამონათვალიდან უმეტესობა თითქმის ყველა ასაკის ბავშვთან სამუშაოდ გამოდგება :

 **საკანცელარიო ნაწარმი** - მაკრატელი, ფერადი ფანქრები და მარკერები, წებო, ფერადი ფურცლები, ფერადი ცარცები, მარკერების დაფა და მარკერები.

 **სხვადასხვა კატეგორიის ფერადი სურათები** - ცხოველები, ზმნები, ფრინველები, ავეჯი, ხილი, ზედსართავი სახელების ამსახველი სურათები, ბოსტნეული და ა.შ.

 **შეგრძნებების მასტიმულირებელი სათამაშოები** - საპნის ბუშტები, ბზრიალა, მუსიკალური ინსტრუმენტები და მანათობელი სათამაშოები, კინეტიკური

ქვიშა, პლასტელინის ცომები, ხელის საღებავები და ა.შ.

 **სხვადასხვა კატეგორიის სათამაშოები** - რეზინის ცხოველები, პლასტმასის ან ხის ხილ-ბოსტნეული. (აღსანიშნავია რომ საუეკეთესო ვარიანტია თამაშისას ნამდვილი ხილ-ბოსტნეულის გამოყენება. ეს აადვილებს სიტყვის მნიშვნელობის ათვისების პროცესს).

 **შემეცნებითი სათამაშოები** - „ფაზლები“, პირამიდები, ფიგურები, მოზაიკა (ნატიფი მოტორულის განვითარებისთვის, ასევე ფერებისა და რაოდენობის ცნებისთვის), საანგარიშო ჩხირები, მაგნიტური ანბანი, მაგნიტური ციფრები და ა.შ.

 **სიმბოლური თამაშის მასტიმულირებელი სათამაშოები** - დაბადების დღის ნაკრები, სამზარეულოს ნაკრები, ექიმის პროფესიის შესაბამისი აღჭურვილობა, სათამაშო ადამიანი-პერსონაჟები, სახლის ოთახების შესაბამისი სათამაშო ავეჯი-რაც საშუალებას მისცემს ბავშვს რეალური მოქმედებების იმიტაციით დაეუფლოს სამეტყველო ლექსიკონს.

5.1 სმენითი აღქმის განვითარება

ზოგადი სტრატეგიები სმენითი აღქმის გასაუმჯობესებლად:

სმენის დამხმარე ხელსაწყო (სასმენი აპარატი ან კოხლერული იმპლანტის პროცესორი) **აუცილებლად უნდა იყოს ჩართული მთელი დღის განმავლობაში და ბავშვმა თან უნდა ატაროს ყველა სიტუაციაში** (ბაღი, სკოლა, სახლი, და ა.შ.). გამონაკლისია ბავშვის ბანაობის ეპიზოდები. სინესტე და დასველება საფრთხეს უქმნის აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ესაუბრეთ ბავშვს ყველგან და ყოველთვის. ხმაურიან გარემოშიც კი (სავაჭრო ცენტრები, კაფეტერია, საბავშვო მოედანი) არ შეწყვიტოთ მასთან ვერბალური კომუნიკაცია. ფონური ხმაურის ფონზე მეტყველების გარჩევა - ეს ის უნარია, რასაც ეტაპობრივად უნდა დაეუფლოს ბავშვი.

სმენითი აღქმის განვითარების საწყის ეტაპზე, სასურველია თუ ბავშვს **წამლერებით დაელაპარაკებით**. გამოიყენეთ ასევე სახის მიმიკა და სხეულებრივი ჟესტები. ეს დაეხმარება ბავშვს მოსმენილი წინადადების გაგებაში.

ბავშვთან თამაშის დროს, **რამდენჯერმე დაასახელეთ სათამაშოს სახელი სანამ მას გამოაჩენდეთ**. ამ სტრატეგიით, ბავშვის ყურადღებას იქცევს სწორედ სმენითი და არა

მხედველობითი ინფორმაცია. მაგალითად : „ აბა მანქანა სად არის ? „ „უი, დავინახე. მანქანა ყუთში ყოფილა“ „ოო, ეს ძალიან ლამაზი მანქანაა ლურჯ და წითელ ფერებში“.

მიეცით ბავშვს დრო თქვენ მიერ ნათქვამის გასააზრებლად. თქვენი საუბრის ტემპი უნდა იყოს ზომიერი და არა სწრაფი. მასთან დიალოგისას გააკეთეთ პაუზები, დაელოდეთ მის რეაქციას.

ასწავლეთ ბავშვს მოითხოვოს **მისი მისამართით ნათქვამი წინადადების/ფრაზის გამეორება**. (იმ შემთხვევაში თუ ვერ გაიგონა).

აქტივობების სმენითი აღქმის განვითარებისთვის :



„ბგერის აღმოჩენა“

ფონური ხმაურიდან სამიზნე ბგერის გამოდიფერენცირება და პირობითი რეაქციის სწავლება ბავშვისთვის - ერთ-ერთ პირველი ნაბიჯია.

ამ ეტაპზე გამოიყენება ე.წ. „სუფთა ბგერის“ გამომცემი მუსიკალური ინსტრუმენტები. მაგალითად: დოლი, ქსილოფონი, საყვირი, სალამური და ა.შ. (თუ სახლში არ არის მსგავსი მუსიკალური სათამაშო, შესაძლებელია ჩანაცვლებაც. მაგალითად: რკინის კოვზის დაკაკუნება რკინის ქვაბზე, ზარი, სათამაშო დოლი, ცელოფნის პარკის ხმა, ჭიქაში ჩადებულ კოვზი და ა.შ.)

განვიხილოთ აქტივობა სათამაშო დოლის მაგალითზე.

აქტივობა : ბავშვი ზის მაგიდასთან, ხალიჩაზე. წინ უდევს პირამიდის რგოლები და პირამიდის ღერძი. ბავშვის უკან დგას მშობელი (დაახლოებით 4 მ-ის დისტანციაზე) და ხელში უჭირავს დოლი. მშობელი 3-ჯერ აკაკუნებს დოლზე. თუ ბავშვმა აღიქვა ბგერა, რგოლი უნდა ჩამოაცვას ღერძზე. თუ ამ დისტანციაზე ბავშვი ვერ აღიქვამს ბგერას, ერთი მეტრით მცირდება მანძილი. მას შემდეგ რაც 4 მეტრის მანძილზეც კი ბავშვი აღიქვამს 3-ჯერ მიწოდებულ კაკუნს, დაკაკუნებების რაოდენობა მცირდება 1-მდე.

შენიშვნა : რგოლის ღერძზე ჩამოცმის ნაცვლად შესაძლოა ფერადი ბურთების ჯამში ჩაყრა. დოლის ბგერების ამოცნობის შემდეგ იცვლება მუსიკალური საკრავი. აუცილებელია რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობელმა ბავშვს გაამახვილებინოს ყურადღება განსხვავებულ ხმებზე, მაგალითად : ნივთის ძირს დავარდნა, წყლის ხმა, ჩაიდნის თუხთუხი და ა.შ. თუ ბავშვი არ დააფიქსირებს - ვერ მოახერხებს ამოცნობას. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სმენითი გამოცდილება.

არასამეტყველო ხმების გარჩევა და იდენტიფიკაცია

ირგვლივ უამრავი ხმაა და სამყარო მხოლოდ სამეტყველო ბგერებით არ შემოიფარგლება. გარემოს სტიმულებზე

ადეკვატური რეაგირებისთვის, ბავშვი უნდა ახერხებდეს არასამეტყველო ხმაურის უმეტესობის ამოცნობას. ასეთ ხმების მაგალითია: ტაში, კარზე კაკუნი, ტელეფონის ზარის ხმა, ქათმის კაკანი, ძაღლის ყეფა, სიცილი და ა.შ. გარდაიმიისა რომ მშობელი გამიზნულად აქცევინებს ბავშვს ყურადღებას ყოველ ახალ ხმაურზე მის გამოცდილებაში, ასევე მუშაობს სმენით მეხსიერებაზე ამ ხმების შესაბამისი სურათებისა და აუდიოჩანაწერების დახმარებით.

აქტივობა 1: დააკაკუნეთ კარზე ბავშვის ზურგს უკან და ჰკითხეთ: რა ხმა იყო ? თუ ბავშვი ჯერ თავად ვერ ლაპარაკობს, გიჩვენოთ ხმის შესაბამისი სურათი წინასწარ თქვენ მიერ გამზადებულ ალბომში, ან მიუთითოს კარის მიმართულებით.

აქტივობა 2: მოასმენინეთ ქათმის კაკანის აუდიო ჩანაწერი და სთხოვეთ გიჩვენოთ ხმის შესაბამისი სურათი წინასწარ გამზადებულ ალბომში.



ხმის ადგილმდებარეობის გარჩევა

ამ მიზნის ირგვლივ კარგი ჯგუფური აქტივობის დაგეგმვა შეიძლება. შესაბამისად ჩაერთვება ოჯახის ყველა წევრი.

აქტივობა : ბავშვი დგას წრის შუაში, თვალდახუჭული. წრეზე დგანან მისი ოჯახის წევრები: დედა, მამა და ა.შ. ისინი მორიგეობით ეძახიან ბავშვს. საკუთარი სახელის

გაგონების შემდეგ, ბავშვი ახელს თვალებს. მან უნდა ამოიციოს საიდან მოდიოდა ხმა, მივიდეს და ჩაეხუტოს ადამიანს ვინც ეძახდა.

სამეტყველო ბგერების გარჩევა

ხმოვნების ერთმანეთისგან გარჩევა უფრო მარტივია ბავშვისთვის, რადგან ისინი მაღალი ჟღერადობისაა. თანხმოვნები კი შედარებით დაბალი ჟღერადობისაა და ერთმანეთისგან რთულად გასარჩევი. საწყის ეტაპზე შეიძლება მუშაობა დავუშვათ „ა“ და „ო“ ბგერის გამიჯვნაზე.


აქტივობა : მშობელი ზის ბავშვის პირისპირ, მაგიდასთან. ეუბნება ბგერას „ა“. თან ყურადღებას ამახვილებინებს ამ დროს პირის პოზიციაზე. თითს იღებს ტუჩებსა და პირზე. მაგიდაზე უკვე გამზადებულია სურათები, სადაც ჩანს პირის პოზიცია ამ ბგერების გამოთქმის დროს. „ა“ და „ო“ ბგერების სურათებში ბავშვმა უნდა ამოიციოს მოსმენილი ვარიანტის პირის პოზიცია და დაადოს თითი. უფრო რთული ვარიანტია, როდესაც მშობელი ხელს იფარებს პირზე და ისე აწოდებს ბგერას. ბავშვი კარგავს მხედველობით კონტროლს და მხოლოდ სმენაზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს არჩევანი.

მუშაობა გრძელდება ბგერის მახასიათებლების გარჩევის მიამართულებით

ხმების გარჩევა სიმაღლის მიხედვით

აქტივობ შეიძლება განახორციელოთ სათამაშო დოლის გამოყენებით.

აქტივობა : ბავშვი ზის მაგიდასთან, წინ უდევს სურათი, სადაც პატარა დოლი შეესაბამება დაბალ ხმას, ხოლო დიდი დოლი კი მაღალ ხმას.



მშობელი დგას ბავშვის ზურგს უკან. იგი გამოსცემს დოლზე: დაბალი და მაღალი ინტენსივობის ბგერებს. ბავშვმა სწორად უნდა ამოიციოს ხმის სიმაღლე და თითი დაადოს შესაბამის სურათს (ან დაადოს კუბიკი).

ბგერის დისტანციის გარჩევა

ამ აქტივობისთვის ქსილოფონის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მაგალითად: შუშის ჭიქა და რკინის კოვზი.


აქტივობა : ბავშვი ზის მაგიდასთან, წინ უდევს სურათი



მშობელი დგას მის ზურგს უკან და სხვადასხვა დისტანციებიდან უკრავს ქსილოფონზე. ბავშვმა უნდა ამოიცნოს: ახლო, შორი-ახლო და შორს მყოფი ბგერები და თითოეული უჩვენოს.

სამეტყველო ბგერის ხანგრძლივობის გარჩევა

აქტივობა: თქვენ გაქვთ თვითმფრინავი, გაქვთ მატარებელი. ბავშვს წინასწარ უხსნით რომ თვითმფრინავი გამოსცემს ხმას „ააააა“, ხოლო მატარებელი გამოსცემს ხმას „უუუუუუ“. ბავშვი ზის მაგიდასთან და წინ უდევს სურათი



მოკლე ლურჯი ხაზი ნიშნავს მოკლე „ა-ს“. გრძელი ლურჯი ხაზი კი გრძელ „აააა“-ს. ანალოგიური სიტუაციაა ყვითელი ხაზებისა და უ ბგერის შემთხვევაში. მშობელი დგას ბავშვის ზურგს უკან და ამბობს: „ა“-ს ან, „ააააა“-ს, ან „უ“-ს, ან „უუუუუ“-ს. ბავშვმა უნდა ამოიცნოს შესაბამისი ფოტო და დაადოს თითი.

5.2 რეცეპტული ენის განვითარება

სმენითი აღქმისა და დისკრიმინაციის უნარის მომწიფების შემდეგ, იგეგმება აქტიური მუშაობა რეცეპტული ენის (მიმართული მეტყველება - „გავიგო ის, რასაც მელა-პარაკებიან“) გაგების გასაუმჯობესებლად.

ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის გაგება

აქტივობა : მშობელი წინასწარ ამზადებს ერთი და ორმაცვლიანი სიტყვების შესაბამის სურათებს. შემდეგ ჯდება ბავშვის პირისპირ და მიმართავს: „ახლა მე შენ გეტყვი სიტყვას, შენ კი მომაწოდე ის ამ სურათებიდან“. თავდაპირველად ბავშვს აქვს საშუალება დააკვირდეს სიტყვის წარმოთქმას, ჰქონდეს მხედველობითი კონტროლი. მას შემდეგ რაც ბავშვი კარგად აითვისებს ამ დავალებას, მშობელი უკვე პირზე იფარებს ხელს და ისე სთხოვს დასახელებული სიტყვის მოძებნას


არსებითი სახელების შემდეგ, მშობელს უკვე შემოაქვს ზმნების, შემდეგ კი ზედსართავი სახელების სურათები. ასევე მნიშვნელოვანია ფერის, ზომისა და რაოდენობის ცნებების ათვისება. ასე, ეტაპობრივად მშობელი ამრავალფეროვნებს ბავშვის პასიურ ლექსიკურ მარაგს.

სიტყვების თანმიმდევრობის გაგების უნარი

მუშაობა იწყება ბუნებრივია 2-3 სიტყვის თანმიმდევრობისგან. წინადადების შინაარსის გასაგებად, მნიშ-

ვნელოვანია წინადადებაში სიტყვათა თანმიმდევრობისა და ურთიერთმიმართების სწორად განსაზღვრა. ეს აქტივობაც სწორედ ამ უნარის მოწიფებას ემსახურება

აქტივობა : ბავშვს წინ უდევს სურათი



მშობელი ზის ბავშვის პირისპირ. მიმართავს ბავშვს: „მიჩვენე წითელი პატარა ჭიქა“ „მიჩვენე მწვანე დიდი კოვზი“ და ა.შ. შესაძლოა მოცემული ობიექტების რომელიმე წყვილის ზმნებით ჩანაცვლება, შედეგად მითითება მეტად დაემსგავსება წინადადებას.

წინადადების სპეციფიკური სტრუქტურების: „არ“ და „უ“ ნაწილაკებით უარყოფის გაგება.

ლაპარაკის გაგების გაუმჯობესებაზე მუშაობის დროს, მნიშვნელოვანია მიზანმიმართული ჩარევა „უ“ ნაწილაკით უარყოფისა და „არ“, ნაწილაკით უარყოფის ასათვისებლად.

საჭიროა ამ სტრუქტურების შემცველი წინადადებების სიტუაციის შესაბამისად გაჟღერება ბავშვთან. მაგალითად: „ეს გოგო უჭუდოა, ეს კი ქუდიანი. ეს არ არის ძაღლი, ეს არის კატა და ა.შ. „

რთული წინადადების გაგება

მშობელი ბავშვს ეუბნება ინსტრუქციას: „მიჩვენე გოგონა რომელიც ასეირნებს პატარა კოპლებიან ძაღლს“.

ბავშვს მიეწოდება 4 მსგავსი სურათი. ოთხივეში ჩანს გოგონა და ძაღლი. განსხვავება მცირე დეტალებშია და სწორი პასუხიც მხოლოდ ერთია. წინადადების სრულად გააზრების გარეშე ბავშვი ვერ მოახერხებს სწორი პასუხის ამორჩევას.

მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გარჩევის სირთულე

ერთ-ერთი მიზეზია რის გამოც სმენის დარღვევის მქონე ბავშვს უჭირს გაიგოს რას ელაპარაკებიან. სწრაფი, გაბმული საუბრის დროს იგი ვერ არჩევს ქარსა და ქალს, ტაფას და კაბას. შედეგად არასწორად გამოაქვს შინაარსი.

აქტივობა 1 : აარჩიეთ სურათები: ბურთი, ქათამი, თასი, ქალი, ბალი, ჭიქა, სახლი, გოგო, წიწილა

ბავშვს ეუბნებით: „ახლა მე შენ მოგაწვდი სურათს. მერე გეტყვი სიტყვებს. შენ უნდა გამოიცნო ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვა არის თუ არა დატანილი სურათზე“.

იღებთ მაგალითად ბურთის სურათს და ეკითხებით ბავშვს: ეს პურთია? ფურთია? ბურთია?. ის გასაუხობთ ვერბალურად (კი, არა) ან ჟესტით (გიქნევთ თავს ან თავის ქნევით გამოხატავს „არა“-ს). კონკურენტულ ბგერებს არჩევთ მსგავსი წარმოთქმის ადგილის მიხედვით. მაგალითად : თასი - თაში - თავი; ქალი - ქარი- ფარი, ჭიქა-წიქა, ციქა, სახლი -შახლი, ჰახლი და ა.შ. მცდარი პასუხების შემთხვევაში, ეუბნებით ბავშვს: „არა, ეს ბურთია“.

აქტივობა 2 : წინასწარ მოამზადეთ მსგავსი ჟღერადობის სიტყვების შესაბამისი სურათები. მაგალითად : „კაბა“ – „კატა“ ; „ტაფა“ – „დაფა“; „ბარი -ბალი“; „ფაფა -პაპა“ და ა.შ. ბავშვს მიმართავთ ინსტრუქციით : „მიჩვენე კატა“ ან მიჩვენე „დაფა“ და ა.შ.

5.3 ექსპრესიული ენის განვითარება

ძლიერი და მძიმე სმენის დაქვეითების დროს, ბავშვის სმენის ასაკი აითვლება სასმენი აპარატის მორგებიდან ან კოხლეარული იმპლანტაციის პროცესორის ჩართვის წუთიდან. შესაბამისად, ექსპრესიული ენის მიმართულებით ბავშვის პირველი გამოწვევა ტიტინის, ღულუნის დაწყებაა (ზუსტად ისე როგორც მოეთხოვება, წლამდე ასაკის ნორმალური სმენის მქონე ბავშვს).

თამაში ბგერებით

აირჩიეთ სათამაშოები, რაც შეესაბამება სამეტყველო ბგერებს. მაგალითად, თვითმფრინავი - „ა“, მატარებელი „უ“, მანქანა „ი“ და ა.შ. ეთამაშეთ ბავშვს ამ სათამაშოებით და თან უხმოვანეთ. დადგით განსხვავებული სიტუაციები, რაც მოგცემთ ახალ-ახალი ბგერებით მანიპულირების საშუალებას.

 თვითმფრინავი დაფრინავს დაფრინავს და ჩამოვარდა (აააა აააა - ბუუუ)

 მანქანა მიდის გზაზე, შემხვედრ გზაზე შენიშნა მეორე მანქანა. დაუპიპინა, მაგრამ ვერ მოასწრო აცილება და დაეჯახა (იიიიიი იიიიიი - პი პი პიიიიიიი პიიიიიი -ბუუუუ)

 მატარებელი მოძრაობს ლიანდაგზე ჯერ ნელა, შემდეგ კი სწრაფად (უუუუუუ, უუ უუ უუ უუ უუ)

ცხოველებით თამაში ხმათა მიზნების სტიმულირების მიზნით

დაგჭირდებათ სათამაშო ქათამი, მამალი, ცხენი, კატა, ძაღლი და ა.შ. ითამაშეთ თამაში „ფერმა“. შეეცადეთ, გამოიყენოთ ხმათა მიზნები ცხოველების მხრიდან სხვადასხვა მოთხოვნილებებისა (შიმშილი, ძილი) და ემოციების (სიხარული, შიში, მოწყენა, გაოცება) გაჟღერების მიზნით.

ინტონაციის ცვლილებით ეს მიზნები განხორციელებადია. პარალელურად ბავშვთან ერთად ათვალიერებთ წიგნებს, მიუთითებთ იქ მოთავსებულ სურათებზე, ახმოვანებთ. საშუალებას აძლევთ კარგად დაგაკვირდეთ წარმოთქმის დროს. მხედველობითი კონტროლის გასაუმჯობესებლად, როცა ბავშვი უკვე იმეორებს, გამოგადგებათ სარკე. მიეცით ბავშვს საშუალება ჩაიხედოს სარკეში და ისე გამოთქვას სიტყვა. სარკის დახმარებით იგი უკეთ მოახერხებს პირის აპარატისთვის საჭირო პოზის მიცემას.

 **დასახელების უნარისა და მოთხოვნილების სიტყვით გაჟღერების წახალისება** - ეს შესაძლებელია როგორც მშობელი-ბავშვის ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში, ასევე, წინასწარ დაგეგმილი თამაშებით. ბავშვის ჩაცმის კვების დროს, ერთად სამზარეულოში ფუსფუსის დროს, ან აბაზანაში ბანაობის დროს წამღერებით და მელოდიურად დაუსახელებთ თითოეული საგანი. აღწერეთ, მიაქცევინეთ ყურადღება. ბავშვი მალე შეეცდება თავადაც გაიმეოროს მოსმენილი სიტყვები. თქვენ ძლიერი დადებითი ემოციით ხვდებით ამას. „ვაშააა“ „ტაშის შემოკვრა“, „ღიმილი“ - ეს ყველა წახალისების გზაა. თუმცა ნუ აიძულებთ ბავშვს ილაპარაკოს. არ გამოიყენოთ მითითებები : „თქვი „ და გაიმეორე“. ბავშვისთვის ლაპარაკის პროცესი უნდა იყოს სასიამოვნო და არა თავს მოხვეული. თამაშის დროს გამოიყენეთ ყოველდღიურ სიტუაციასთან

მიახლოებული აქტივობები. მაგალითად: სამზარეულოს ნაკრები, აბაზანის ავეჯი, სამინებლის ავეჯი, სათამაშო მოედანი და ა.შ. გააჟღერეთ პერსონაჟების მოთხოვნები და გამოიყენეთ შემდეგი მარტივი სიტყვები : „გოგო“ „მომე“ „მამა“ „დედა“ „ბურთი“ „კი“ „არა“ „პური“ „მშია -მნია მნია“ „წყალი -სრუპ-სრუპ“ და ა.შ.

დ) წინადადებებით საუბრის ეტაპი

უშუალოდ ორსიტყვიან წინადადებას წინ უსწრებს ხოლმე სიტყვა + ჟესტის ეტაპი. მაგალითად, ბავშვი ამბობს „მომე“ და მიუთითებს ბურთზე. გულისხმობს „მომე ბურთი“. პირველ წინადადებებს კვლავ სურვილის გამოხატვის ფუნქცია აქვს. ასეთი კონსტრუქციის წინადადების აგება შეგიძლიათ წაახალისოთ კითხვით : „მოგცე გოგო“ პაუზა. თუ ბავშვი არაფერს გპასუხობთ, თქვენ თავად ამბობთ „მომეცი ბურთი“. ბავშვი იმეორებს ამას და იღებს ბურთს. თუ ბავშვი ამბობს მხოლოდ სიტყვას „მომე“ თქვენ უბრუნებთ კითხვას, რა მოგცე? რა გინდა ? ბავშვი მიგითითებთ. თქვენ ამბობთ : „მომეცი ბურთი“ (სიტყვა „მომეცე“-ზე გულზე იდებთ ხელს, სიტყვა „ბურთის თქმის დროს კი უთითებს მასზე“.

წინადადების ეტაპის მოსამწიფებლად, ასევე, გამოგადგებათ ზმნებისა და არსებით სახელების სურათები. მაგალითად გაქვთ ზმნები : „ჭამს“ „ძინავს“, „ბანაობს“.

გაქვს ასევე არსებითი სახელები /მოქმედი პირები : „ბიჭი“ „გოგო“ „კატა“

იღებთ სურათებს : „კატა“ და „ჭამს“. ასახელებთ ცალცალკე, თან მიუთითებთ ბავშვს: „კატა“ „ჭამს“. შემდეგ ხელის სწრაფი მოძრაობით აერთებთ ამ ორ სურათს და ამბობთ „კატა ჭამს“ (უკვე აღარ იგრძნობა პაუზა ამ ორ სიტყვას შორის, არც გადასვლა ჩანს).

თავი 6.

ქესტური ენა

ძლიერი და მძიმე სმენადაქვეითების მქონე ბავშვისთვის ვერბალური ენის ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებაა: „ქესტური ენა“. თანამდეროვეტაპზეპოპულარულია სწავლების ე.წ. „ბილინგვური გზა“. ამ შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ასწავლიან როგორც ქესტს, ასევე მეტყველებას. ერთი ეხმარება მეორეს და ბავშვს უფრო სრული და მთლიანობრივი წარმოდგენა ექმნება სამყაროზე. კომუნიკაციის რომელი გზა აჯობებს ბავშვისთვის? ვერბალური თუ არავერბალური? ამ გადაწყვეტილების მიღება მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული. მათ შორის: სმენის დაქვეითების ხარისხი, ჰქონდა თუ არა ბავშვს სმენითი გამოცდილება? საკმარისად აისახა თუ არა ენა-მეტყველების უნარში სმენის რეაბილიტაცი-აბილიტაციის მიმართულებით განხორციელებული ზომები? იგეგმება თუ არა ბავშვისთვის კოხლეარული იმპლანტაციის ჩატარება? რა ასაკში გაუკეთდა ეს ოპერაცია და ა.შ. რაზეც ყველა თანხმდება არის ის რომ თუ ყრუ ბავშვს კონკრეტული მიზეზების გამო ვერ უდგამენ იმპლანტს, მაშინ ორალური მეტყველება ვერ განვითარდება და აუცილებელია რომ ბავშვს ვასწავლოთ

ქესტური ენა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაცია თავის მხრივ არ გამოიწვევს ბავშვისთვის ქესტური ენის სწავლებას.

6.1. ქესტური ენის გოგადი დახასიათება

ქესტური ენა ეს არის ვიზუალური კომუნიკაციური სისტემა, რომელიც ხორციელდება ქესტების საშუალებით და გამოიყენება ყრუ ადამიანების მიერ. ქესტურ ენაზე საუბრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსაუბრის სახის ექსპრესიას და სხეულის პოზას. ფაქტობრივად, ამ მიმანიშნებლების დახმარებით ხდება ქესტურ ენაზე საუბრისას კონტექსტის სწორი ამოცნობა და გაგება.

ქესტური ენა სიმბოლური ენაა, ისევე, როგორც ვერბალური. აქ თითო სიტყვა თითო ქესტით გამოიხატება. არსებობს როგორც არსებით სახელის, ასევე ზმნის, ზედსართავი სახლისა და ენის სხვა ნაწილების ქესტები. ზოგიერთი ქესტი ჰგავს იმ ბუნებრივ სხეულებრივ ენას, რასაც ყველა ადამიანი იყენებს ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში, რადგან ხატოვნად გადმოაქვს აღსაწერი სიტყვა ან მოძრაობა. ზოგიერთი კი სიმბოლური ხასიათისაა - არ გამოხატავს რა აღსაწერი სიტყვის მახასიათებელს. ქესტური ენა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა არსებობს საერთაშორისო ქესტური ენებიც - ზუსტად ისევე როგორც სამეტყველო ენებში.

თითოეული ჟესტი სრულდება ერთი ან ორი ხელის მოძრაობით. ამ ენაზე მოსაუბრენი, ჩვეულებრივ, ერთმანეთის პირისპირ დგანან, რათა ჰქონდეთ საშუალება დააკვირდნენ ერთმანეთის სხეულებრივ მოძრაობებსა და მიმიკას. აქ დამახეზის ანალოგია სხეულზე, უფრო ხშირად კი მხარზე ხელით შეხება. ასე ხერხდება იმ ადამიანის ყურადღების მიქცევა, ვისთანაც იგეგმება ლაპარაკი.

6.2. ჟესტური ენის ათვისების მნიშვნელობა სმენის დაქვეითების დროს.

ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, ჟესტური ენა - ეს არის ყრუ ადამიანისთვის ბუნებრივი და არაალტერნატიული კომუნიკაციის გზა. მისი მხედველობით-სივრცითი მოდალობის გამო, სმენადაქვეითებული ადამიანი უკეთ ითვისებს და გადაამუშავებს ჟესტებს, ვიდრე ვერბალურ ენას. ვინაიდან ამ უკანასკნელს ყრუ ადამიანი გადაამუშავებს მისი დეფიციტური სენსორული არხის გამოყენებით. მხედველობითი არხი კი (სადაც წარმოდგენილია ჟესტური ენა)- თავის ტვინის კომპენსატორული მექანიზმის წყალობით, ყრუ ადამიანის ძლიერი მხარეა. გასაკვირი არ არის რომ ყრუ ბავშვი უკეთ ითვისებს ჟესტებს, ვიდრე სიტყვებს.

ჟესტური ენის ათვისებას სიცოცხლის პირველი თვეებიდან, დიდი მნიშვნელობა აქვს ყრუ ბავშვისთვის (Annalen Van Staden, Gerhard Badenhorst, Elaine ridge).

კვლევები აღნიშნავენ რომ ყრუთა ოჯახებიდან გამოსული სმენადაქვეითებული ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე ეუფლებიან ჟესტურ ენას ხასიათდებიან კარგი ინტელექტუალური შესაძლებლობებით. ამის მიზეზია ის, რომ ბავშვი თვეებიდანვე იწყებს სამყაროს შემეცნებას და სახელდება ჟესტური ენის წყალობით, აკავშირებს საგანსა და შესაბამის ხატს, სცდება თვალსაჩინო-ხატოვან აზროვნებას და გადადის სიმბოლური აზროვნების ეტაპზე. ამას გარდა, ადრეული ასაკის ყრუ ბავშვის კომუნიკაციური გზები უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი იყენებს ჟესტურ ენას ბევრი განსხვავებული ფუნქციით, მაგალითად : მისაღმება, კითხვის დასმა, კითხვაზე პასუხის გაცემა, კომენტარის გაკეთება და ა.შ. ამ დროს ბავშვს უფრო ნაკლებად ექმნება ქცევით-კომუნიკაციური თუ სოციალურ-პიროვნული სირთულეების ჩამოყალიბების საფრთხე. განსხვავებით ყრუ ბავშვისგან, რომელსაც ჯერ ვერბალური ენა არ აქვს ათვისებული და კომუნიკაციასაც მხოლოდ ბუნებრივი ჟესტებით ახერხებს. ვერ გამოხატავს საკუთარ გრძნობებსა და აზრებს, ფაქტიურად არ აქვს ენა შინაგანი აზროვნებისთვის და ფიქრებისთვის.

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო მეტად უსვამენ ხაზს ბილინგვური სწავლების მნიშვნელობას ყრუ ბავშვისთვის. ადრეული ასაკიდანვე ნასწავლის ჟესტების წყალობით,


ბავშვს უფრო მდიდარი ლექსიკური მარაგი უყალიბდება ამ მოდალობაში, უფრო მეტი ცნების მნიშვნელობას ხვდება და მარტივად ანზოგადებს. შესაბამისად, ამ ინფორმაციის გადატანა ვერბალურ ენაში უფრო მარტივია - ვიდრე თავიდან დასწავლა. ამას გარდა, ბავშვს შეიძლება ჟესტურ ენაზე ავუხსნათ იმ სიტყვის მნიშვნელობა რასაც ვერ გეგულობს სამეტყველო ენაში და რის გამოც ექმნება მაგალითად წაკითხულიდან შინაარსის გამოტანის პრობლემა.

6.3. რამდენიმე სიმბოლური ჟესტი, რას გამოადგებათ მშობლებს შვილთან ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში.

ადრეულ ასაკში ყრუ ბავშვთან ჟესტურ ენაზე კომუნიკაცია ხელს უწყობს არამარტო კომუნიკაციური უნარის განვითარებას, არამედ სამომავლოდ წიგნიერების უნარის ჩამოყალიბებასაც უჭერს მხარს.

მშობელი ყრუ ბავშვს უკვე თვეების ასაკიდანვე აწვდის ირგვლივ არსებული საგნების შესაბამის ჟესტებს, ათვალიერებინებს ილუსტრირებულ წიგნებს. დედა თითს ადებს წიგნის გვერდზე განთავსებულ ცხოველს, თან უჩვენებს შესაბამის ჟესტს. უფროსმა უნდა აცადოს ბავშვს

ყურადღების გადატანა სურათიდან ჟესტზე, საჭიროების შემთხვევაში კი რამდენჯერმე მიაწოდოს მას. ჟესტურ ენაზე მოსაუბრე ბავშვისთვის ვიზუალური ყურადღების გადანაწილების უნარის განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამაზე მუშაობა თვეების ასაკიდანაც არის შესაძლებელი. სასკოლო ასაკში ასოების სიტყვაში გაერთიანების უნარის მოსამწიფებლად, სასურველია დედად შეაჩვიოს ბავშვი რომ ჟესტით მიწოდებული სიტყვა კიდევ უფრო მცირე ელემენტებად იშლება და ეს მცირე ერთეულია -ასო. ამ მიზნით გამოდგება სიტყვის ჟესტის შესაბამისი დაქტილური ჩანაწერით მიწოდება. დაქტილი - ჟესტური ენის ანბანია. აქ თითებით არის გამოსახული ქართული ანბანის თითოეული ასო.



ქართული ჟესტური ანბანის გარდა, არსებობს ქართული ენის ჟესტური ლექსიკონიც. აქ განთავსებულია ვერბალური ენის სიტყვების შესაბამისი ჟესტური ანალოგები (ჩანახატების ასხით არის მოცემული ხელების პოზიცია სხეულთან მიამრთებაში). თუ ბავშვი სწავლობს ჟესტურ ენას, აუცილებელია, რომ ოჯახის ყველა წევრმა ისწავლოს, რათა კომუნიკაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან. ქვემოთ მოცემულია სიტყვა „დედა“ და სიტყვა „მამა“ ჟესტურ ენაზე.

„დედა“



„მამა“



ამ ჟესტების მიწოდება შეიძლება შემდეგნაირად :

დედა ზის ბავშვის პირისპირ, მიუთითებს საკუთარ თავზე (ხელს იდებს გულ-მკერდის მიდამოზე) და უჩვენებს სიტყვა „დედის“ შესაბამის ჟესტს. ასევე, სასურველია თუ წინასწარ აქვს მომზადებული მისივე ფოტო. დედა თითს ადებს ფოტოს, ამბობს „დედა“ და უჩვენებს შესაბამის ჟესტს ხელებით. ანალოგიურია „მამის“ ჟესტის მიწოდებაც. ბავშვებისთვის ეს პროცესი ძლიერ სახალისოა და საკმაოდ სწრაფად იწყებენ ხოლმე ჟესტების გადატანას ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში.

უცხო სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი :

აბილიტაცია - ჩამოუყალიბებელი უნარის განვითარებაზე მუშაობა.

აუდიალური შეგრძნებები - სმენითი შეგრძნებები

ბილინგვური სწავლება - ორ განსხვავებულ ენაზე ბავშვის განათლება (სმენის დარღვევის მქონე ბავშვის შემთხვევაში: ქართული სამეტყველო ენა და ქართული ქესტური ენა).

ენისა და მეტყველების სპეციალისტი - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს ენისა და მეტყველების დარღვევის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ენობრივი, სამეტყველო და კომუნიკაციური უნარების შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობას; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განთლებაში ჩართული პირების კონსულტირებას.

ვერბალური ენა - იგივეა რაც მეტყველება (ლაპარაკი - პირის აპარატის გამოყენებით)

ვერბალური უნარი - ენა და ენობრივად გაშუალებული უნარები. მაგალითად : ლაპარაკი, წერა, კითხვა და ა.შ.

ვესტიბულური სისტემა - წარმოდგენილია შუა ყურში ვესტიბულური ნერვის სახით და პასუხისმგებელია: წონასწორობის, ბალანსის დაცვაზე. ასევე სივრცეში ორიენტაციაზე მოძრაობის დროს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული მიზნები და აქტივობები, რაც შეეფერება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

ლოკაცია - მდებარეობა

ქესტური ენის თარჯიმანი - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს სმენის დარღვევის მქონე/ქესტური ენის მომხმარებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ქართული ენიდან ქართულ ქესტურ ენაზე და პირიქით, ქართული ქესტური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს.

ქესტური ენის სპეციალისტი - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც სმენის დარღვევის მქონე/ქესტური ენის მომხმარებელ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის ქართულ ქესტურ ენას;

ორალური სისტემა - პირის სისტემა (ბაგეების, ყბების, ენის, კბილებისა და ლოყების ერთობლიობა).

რეაბილიტაცია - უკვე ჩამოყალიბებული და შემდეგ დარღვეული უნარის აღდგენის პროცესი.

სენსორული გადამუშავებისა და ინტეგრაციის დარღვევა - ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ ბაზისური

შეგრძნებების (ყნოსვა, გემო, შეხება, სმენა, მხედველობა და ა.შ.) გადამუშავებისა და გაერთიანების სირთულე.

ტაქტილური სისტემა - სისტემა რომელიც იღებს და გადაამუშავებს შეხებით მიღებულ შეგრძნებებს. სტიმულების მიმღები ორგანოა კანი, ასევე კან ქვეშ განთავსებული სახსრები, კუნთები და მცესები.

ბამოყენებული ლიტერატურა :

- The Virginia Department of Education with The partnership for People with Disabilities Virginia Commonwealth University (March 2008, Updated February, 2012). "Guidelines for Working with Students Who Are Deaf or Hard of Hearing in Virginia Public Schools"
- The Ohio Coalition for the Education of Children with Disabilities (2015). "A Guide for Parents and Educators of Deaf or Hearing Impaired Children"
- Maryland State Department of Education (2018) "Early Intervention Services for Children Who Are Deaf or Hard-of-Hearing and Their Families".
- National Council for Special Education (2011). "The Education of Deaf and Hard of Hearing Children in Ireland"
- Krisna Letsukpraset, MA; Benjamas Prathanee, MA (2005). "Aural Rehabilitation for Deaf Children : A Northeastern Thailand Experience".
- Ehsan Shekari, Mahbubeh Nakshab, Vahid Valinejad, Amin Modarres Zadeh, Amirhossein Hosseinpour (2016). "Asystematic Review of the Effectiveness of Early Intervention and the Role of Parents in Language Development of Hearing Loss Children"
- Sulabha M Naik, Mahendra S Naik, Akriti Sharma (2013). "Rehabilitation of hearing impaired children in India – An update".
- И. В. Королева: Каро; Санкт-Петербург; (2009). "Кохлеарная имплантация и слухоречевая реабилитация глухих детей и взрослых".
- Т. А. Соколовская, Россия, Барнаул. "ОСОБЕННОСТИ РЕЧЕВОГО РАЗВИТИЯ ДЕТЕЙ ПОСЛЕ КОХЛЕАРНОЙ ИМПЛАНТАЦИИ"
- Mrs. Miriam Cohen, Speech and Hearing Therapist B.A. Hons. AV Israel Professional Director, LSLS Cert AVT (2018). "Audiological Management"
- Neil S.Glickman and Wyatte C.Hall. "Language Deprivation and Deaf Mental Health".
- Marc Marschark (1993). "Psychological Development Of Deaf Children"
- Kathryn P.Meadow (1980). "Deafness and Child Development".

